

კავა ერთოსტელი

კოლხეთი
ფსალმენი

100-ტომეული



გამომცემლობა „კიბერსაფი“
თბილისი 2019

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

კუსტ ექისტელი



კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული
100 ფომად


2019



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 1

2019



მთ. რედაქტორი

თიშვა მოსია

ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი,
აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2019

გამომცემლობა „კონსალტი”, 2019

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკური №4, თე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-582-2 (I ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემული გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემლება „მოლოდინება“ გამოსცემა ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუტი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიდის არენიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის ოქროს ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრუბის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მოერალია მეცნიერთა და საზოგადო მოდვარია საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთა-სამცნეომრო კაკადემიის ვიცე-კრეზიდენტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემულობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდიანი, უბადლეს კოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიზრულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობული, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-
ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-
მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კანკისყრით ერო-
სხად აირჩია აგავე კადემიის 30ცე-კარეზიდენტი, ცხობილი
კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის
დესანტი, „კოლეჯი შასლაშვების“ 100-ტომეულის აპტორი,
იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი
ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მუერალი) და ორი
ვაქიშვილი ზურაბი და დაჩი (ორივა იურისტი) და სამი მვი-
ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცნე შვილი
(შვილი ქმა და ორი და).





პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვებავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაბაღლა გაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგარი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვეასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მთიული ხელმოწის, აიეტის ხელი დარბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპები, კოეჭმა ოქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შსალმუნების“ იგავითურვლომელი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდონიდელი სამყაროს ოცდათოთხმეტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავია.

100-ტომეული... ქვეყნის განენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გველუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

გულაზ ხარაიზვილი

კოეჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გშლცივად შეხვდი ყოველ ძველს, ყოველ ძაბებას.“

ა. პუშკინი

გთავაზობთ, ამონარიდებს ვაჟა ეგრისელის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ათასამდე ქართველ და უცხოელ მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა წიგნებიდან, სტატიებიდან, წერილებიდან:

**ვაჟა ეგრისელის ლექსები მცირე ზომის ჩანახა-
ტებს წარმოადგენს, მეტაფორებითა და დრამატიზმით
რომაა დამუხტული. მინიატურული სალექსო ფორმა
პოეტისათვის სააზროვნო სივრცედ იქცა, რამაც ხელი
შეუწყო თვითმყოფადი სტილის დამკვიდრებაში.**

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა,
გაზეოთ „ლიტერატურული საქართველო“.

18 ოქტომბერი, 1991 წელი.

გრიგოლ აბაშიძე – აკადემიკოსი: „ვაჟა ეგრისელი გამოკვეთილი ხმისა და მაძიებელი სულის პოეტია.“ („სილბო ნაქსოვისა“, 1991 წელი).

ელგუჯა ამაშუკელი – საქართველო სახალხო მხატვარი, პროფესორი: „...ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები“ თუ მშობლიური ეგრისისადმი მიძღვნილი ლექსები, თამამად შეიძლება ითქვას, ღირსეულ დამფასებელს ელოდება და პოეტური ხილვა-



ბი, სახეები, მეტაფორები ბევრს შემოუბრუნებს მზე-
რას თავისი ქვეყნის მშვენიერებისაკენ, მის სულიე-
რებისაკენ, მიწიერი ტკივილებით აღსავსე სახესრუ-
ლი სილამაზისაკენ...” (1991 წელი).

აკაკი გაწერელია – პოლიტიკორი, ლიტერატურათ-
მოდენი: „ვაჟა ეგრისელის პოეზია ქართული სულის
მარადიული ყივილია. მისი შემოქმედება ნაკლებად
ან სრულებით ვერ პოულობს ანალოგს ეროვნულ და
მსოფლიო პოეზიაში... ვაჟა ეგრისელის მეტაფორული
აზროვნება მიუწდომელი და განუსაზღვრელია... ვაჟა
ეგრისელის სტილი ღრმადაა დაკავშირებული ქარ-
თული სალიტერატურო ენის უძველეს პლასტებთან,
კერძოდ, ბიბლიის (ძველი და ახალი ადოქტის) წიგ-
ნებთან. ამაში პოეტის სხვადასხვა დროს გამოცემუ-
ლი წიგნების სახელწოდებებიც დაგვარწნუნებს: „სი-
ცოცხლე,” „ამაღლება,” „ნათელსილვა,” „საგალობე-
ლი,” „იქმენ ნათელი!” და სხვა. „ფსალმუნი” და
„ბიბლია” მარტო საკულტო ძეგლები როდია, ისინი
ამავე დროს უდიდესი მხატვრული ძეგლებიცაა.

...ვაჟა ეგრისელის პოეზიაში შემავალი სტილური
ინგრედიენტები, როგორც ბარათაშვილისა, აქამდე
უცნობი სამყაროს მოდელის შესაქმნელადაა გამოყე-
ნებული პოეტის მიერ. ამის შესახებ ბევრი თქმულა
და დაწერილა, რაც მგოსნის უსამანო ინტელექტუა-
ლურ მასშტაბებზე მიგვანიშნებს და ნებას მაძლევს
ვთქვა, რომ ვაჟა ეგრისელის პოეზია 21-ე საუკუნის



რიურაჟზე ამომავალი ნათელია, რომელსაც ჩაქრობა
არ უწერია (1991 წელი).

არაფირა აკაპიტო – პოეტი (იაპონია): „...ყველა
პოეტი ღვთის შვილია, მაგრამ ისაკავა ტაპუ-ბოპუ,
ფედერიკო გარსია ლორკა, ვაჟა ეგრისელი, – ჩემი
სულის ნაწილია...“ (1983 წელი).

რევაზ მიშველაძე – მწერალი, პროფესორი: „ვაჟა
ეგრისელმა წლების განმავლობაში მიგვაჩვია თავის
ლექსე. ეს გახლავთ აღმოსავლური მონიატურული ნა-
ხატივით მცირე ზომის, მეტაფორებითა და დრამატიზ-
მით დამუხტული პოეტური ჩანახატი. პოეტმა ამ ფორ-
მის ერთგულებით მოახერხა თანამედროვე მკიოხვე-
ლის განწყობილებასთან მისადაგებული და თავბრუ-
დამხვევი სიჩქარით დადლილი მოქალაქსათვის ადვი-
ლად ადსაქმელი მცირე მოცულობის ლექსით მშვენივ-
რად მოეტანა ჩვენამდე თავისი პოეტური სათქმელი.
ნატიფი ხელწერითა და ნათელი სახეებით ჩამოქნილ-
ჩამოგვირისტებული სხარტი სტრიქონები თითქოსდა
ლიტერატურული ქამანდი გახლავთ, უეცრად რომ შე-
გაჩერებს, თავისი სიმოკლითა და ლაპიდარულობით
ყურადღებას რომ მიგვაქცევინებს, მერე უაღრესად თა-
ნადროული და ეროვნული პოეტური აზროვნებით გაი-
ძელებს, ჩამოჯე და პოეტის ფიქრი გაიზიარო, მის
სტრიქონებთან დამე გაათიო...“ (1989 წელი).

ლევან სანიკიძე – მწერალი, პროფესორი: „საქარ-



თველოს ხომ რამდენი ხანია პოეტთა ქვეყანას უწოდებენ. ყოველ შემთხვევაში, საქართველო სავსეა „სემი პოეტებით“ – „ნახევარ პოეტებით“ მაინც დიდმა პოეტმა ჰორაციუსმა რომ თქვა ორიათასი წლის წინათ. ხოლო, „პოეტი სრული“ – საქართველოში მოიძებნება ოდენ თითზე ჩამოსათვლელი, მათ შორისაა ვაჟა ეგრისელი. იგი ჭეშმარიტად დიდი პოეტია...“ (1993 წელი).

გიორგი სიჭინავა – მწერალი, ჟურნალ „აიას“ მთავარი რედაქტორი: „...ვაჟა ეგრისელის დიდებულმა პოეზიამ ამამაღლა და დამარტინუნა იმაში, რომ ეგრისელი, როგორც კოლხი, ღირსეული შთამომავალია აიეტის, გუბაზის, ფარტაზის და დიდი ცოტნე დადიანისა...“ (1993 წელი).

ნუგზარ ნადარაძი – ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი: „... ვაჟა ეგრისელი – სიცოცხლეშივე ქართული ერის და მისი ძირძველი მხარის – სამეგრელოს უკვდავებად ქცეული ლეგენდაა, ილია ჭავჭავაძისეული უმტკიცესი ბურჯი და აკაკი წერეთლისეული ჩონგურის გაუწყვეტელი სიმია... „კოლხეური ფსალმუნებით“ დედა საქართველოს მეხოტე, დიდი პოეტი და საზოგადო მოღვაწეა...“ (1993 წელი).

ნიკოლოზ სიანოვი – მწერალი, შორეული ნაოსნობის კაპიტანი: „დედამიწის თითქმის ყველა კონტი-



ნეტის ნავსადგურში, სადაც კი შევსულვართ, ყველგან ჩვენი საყვარელი პოეტების: სერგეი ესენინის, ფედერიკო გარსია ლორკას, ისიკავა ტაკუ-ბოქუს და ვაჟა ეგრისელის წიგნები დაგვიტოვებია საჩუქრად...” (1983 წელი).

რეზო ადამია – მხატვარი, მწერალი: „...კოლხური ცივილიზაციის უცნაური მოვლენა – ვაჟა ეგრისელის პოეზიის მარადმწვანე ველზე ბიბლიურ ხედ აღმოცენდა და მისმა არნახულმა ნაყოფმა უზომოდ გააძლიდრა დღევანდელი ქართული ცივილიზაციის საგანძურო. ვაჟა ეგრისელს რამდენიმე ათასი წლის წინათ კოლხეთში რომ ეცხოვოდ, უთუოდ ისევ დიდი პოეტი, ფილოსოფოსი, მათემატიკოსი და ვარსკვლავთ მრიცხველი იქნებოდა...“ (1993 წელი).

სოკრატ არშბა – პროფესორი: „...ეგრისელის უაღრესად ეროვნული შემოქმედება, მსოფლიოს ნებისმიერი დიდი ქვეყნის მხატვრულ ლიტერატურას დაამშვენებდა...” (1983 წელი).

ევგენი აქუბარდია – მწერალი: „...როგორ იქნება, ვაჟა ეგრისელის ათასგვერდიანი „იქმენ ნათელი” გადაშალო და შთამბეჭდავმა მეტაფორებმა, ხატოვანმა თქმებმა, მშობელი ცისა და მიწის თვალმარგალიტებმა არ გაიზიარონ ჭეშმარიტ პოეზიას: „ ჯერ არ ნახულს, ჯერ არ გაგონილს.” და არ აღიარო: „ვიქმენ ნათელი!”, „პოეზია უპირველეს ყოვლისა!” აბა, პრემი-



ებით არც დიდი გალაკტიონი გაუნებივრებიათ, - თუნდაც თუ გაწითლებულა ვინმე, ეგ რა მოგვსლოა...” (1993 წელი).

გურამ პუპატაძე – აკადემიკოსი: „.... ეგრისელის ზოგიერთი „ფსალმუნი“ კოსმიურია და ბევრი სინათლის წელი დასჭირდება მის დედამიწამდე ჩამოლწევას“... (1981 წელი).

ნუგზარ სართანია – ინჟინერი: „....ქართული პოეზიის რაინდის – ვაჟა ეგრისელის პოეტური ენერგია ენგურებესის კაშხალია, პრეისტორიული კოლხეთიდან თანამედროვე, ისტორიულ სამეგრელოში (საქართველოში) გადმოხეთქილი და მირიად სხივად გაბრწყინებული, რომელსაც ძალუქს წყვდიადით მოცულ სამყაროს ნათელი მოჰყინოს...” (1991 წელი).

ჯემალ აჯიაშვილი – პოეტი, მთარგმნელი: „არ მშორდება და მუდამ თან დამდგევს ვაჟა ეგრისელის: „და...ჩემი ლექსის ყველა სტრიქონი, მოშურნეთათვის ჩემი მამულის, არის საყვირი იერქონის!“- ჭეშმარიტად!“ (1983 წელი).

შოთა ბადრიძე – პროფესორი: „ფიქრმიუწდომელია ვაჟა ეგრისელის მეტაფიზიკური პოეზია...” (1991 წელი).

ოთარ ბერაძე – პროფესორი: „ვაჟა ეგრისელმა, ამ მაღალზნეობრივმა და დეთიური ცეცხლით გულანთუ-



ბულმა პოეტმა, ახალ სიმაღლეზე აიყვანა უძველესი და უმშვენიერესი ქართული პოეზია...” (1991 წელი).

მერაბ ბერიძე – დრამატურგი: „...თავაწეულმა უნდა იაროს ვაჟა ეგრისელმა, რადგან სულ ერთი ნაბიჯია დიდების მწვერვალამდე...” (1991 წელი).

მურმან ბერიძა – პროფესორი: „მეოცე საუკუნეში, გალაკტიონისა და ტერენტი გრანელის მერე, ყოფნა-არყოფნის, მარადისობისა და წარუგვალობის, სულის მარადიულობის მტკიცნეულ პრობლემებს ვაჟა ეგრისელის დარად არცერთი ქართველი პოეტი არ შესჭიდებია...” (1991 წელი).

ხუტა ბერულავა – პოეტი: „ვაჟა ეგრისელი დიდი პოეტია”... (1991 წელი).

აკაკი ბეშიძე – აკადემიკოსი: „ვაჟა ეგრისელის ლექსები – მინატურული ვულკანებია, საიდანაც მეტაფორებისა და ეპითეტების ლაფა იფრქვევა...” (1983 წელი).

ზაურ ბოლქვაძე – პოეტი: „სანამ საქართველო იქნება, ვაჟა ეგრისელის პოეზიაც იცოცხელებს...” (1983 წელი).

ნანა ბოხუა – პოეტი: „ვაჟა ეგრისელის პოეზია – ფენიქსია მითიური კოლხეთის ფერფლიდან აღმდგარი და დღევანდელობაში მოფრენილი.“ (1991 წელი).

ემირ ბურჯანაძე – მხატვარი: „როგორც სვეტიც-



ხოველმა ქართული ცა, ისე აამაღლა ვაჟა ეგრისელ-მა უმშვენიერესი ქართული პოეზია...” (1982 წელი).

გიორგი გაჩეჩიძაძე – კრიტიკოსი, პროფესორი: „ახალი თაობის პოეტებმა ოცდამეერთე საუკუნეში ვაჟა ეგრისელისებურად უნდა დაიწყონ წერა...” (1991 წელი).

ნოე გელაშვილი – პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტი: „ეგრისელის პოეზიას მზერა მიწისაკენ კი არა, უფრო ცისკენ გაურბის და განსაციფრებელ სიახლეებს გვთავაზობს...” (1991 წელი).

აკაკი გელოვანი – მწერალი, მთარგმნელი: „ბუნებისა და ადამიანის ცოცხალი კავშირი, ვაჟა-ფშაველას პოეზიაში რომ უმაღლეს ასახვას პოულობს, ვაჟა ეგრისელის ათას გვერდიან ერთტომეულში „იქმენ ნათელი“ სულ სხვა, თვისებური შინაარსს იძენს, მაგრამ აქაც იგრძნობა კლასიკური პოეზიის ერთგულება... და ორი დიდი პოეტის სულიერი ნათესაობა...” (1993 წელი).

აკაკი გეწაძე – მწერალი: „ვაჟა ეგრისელი დიდი პოეტური ენერგიის კალმოსანია. ვაჟა ეგრისელი არის ვაჟა ეგრისელი, თვითმყოფადი პოეტი, რომელსაც თავისი სამყარო გააჩნია...” (1993 წელი).

გივი გვერდაძე – პროფესორი: „მდიდარი და მრა-



ვალსპექტრიანია ვაჟა ეგრისელის პოეტური სამყაროს შექმნის ხერხი. მისი მხატვრული პალიტრა გამოირჩევა ფერების სიუხვითა და ტონალობის სიფაქიზით, სხივგამტარი ალეგორიუმით და ცხოვრებისეული შედარებებით...” (1991 წელი).

შალვა ილურიძე – საქართველოს სახალხო არტისტი: „პროფესორ ტიტე მოსიას მივბაძავ და ვიტყვი: „შოთას და ვაჟას ფერა პოეტია ვაჟა ეგრისელი.“ (1991 წელი).

გიორგი ლარიაშვილი – მოქანდაკე: „ვაჟა ეგრისელის ლექსები – მინიატურული ქანდაკებებია, მეტაფორული აზროვნების უმაღლეს პოსტამენტებზე მდგარი...“ (1993 წელი).

თენგიზ გოგოლაძე – მწერალი: „ვეფხისტყაოსანის” მერე რა უნდა დაწერილიყო?! დაიწერა! „განთოადის” მერე რა უნდა დაწერილიყო?! დაიწერა! ბევრი რამ დაიწერა, რადგან დაუშრებელია პოეზიის წყარო. დაუშრებელი, უხვი, სიცოცხლითა და იმედებით საფხე... ერთმა ვაჟამ უხვად დაიბერებყა პოეზიის მარგალიტები... ახლა მეორე ვაჟა იბერტყავს უხვად პოეზიის მარგალიტებს...“

ვაჟა ეგრისელზე მოგახსენებთ... მე მის ლექსებს უშრები წყაროს მარგალიტებს დავარქმევდი – ღრმა-აზროვანს, ფილოსოფიური წახნაგებით და სიტყვა-წყობის მუსიკალურობით.



იხარე პოეზიის ქვეყანან – საქართველოვ!
„იქმენ ნათელი!” (1993 წელი).

ირაკლი გოგოლაური – პოეტი: „თუ ვაჟა ფშავე-
ლამ მთები – „გადმოხარა და ხელ-პირი დააბანინა
წყალზე,” ვაჟა ეგრისელმა ზღვები: „ფეხისწვერზე
დააყენა და მთებს იქით გადაახედა...” (1989 წელი).

გახტანგ გოილაძე – პროფესორი: „ათასწლეულებ-
ში მიძინებული ბერძნულ-კოლხური მთები გააღვიძა
ვაჟა ეგრისელმა ქართულ პოეზიაში...” (1986 წელი).

ნიკოლოზ გორბაჩოვი – მწერალი, რუსეთი: „თა-
ვისი განუმეორებელი პოეზიით ვაჟა ეგრისელი, რუს
პოეტებთან ყველაზე ახლოს ფეოდორ ტიუბჩევთან
დაას...” (1983 წელი).

ჯოდორ დადიანი – პროფესორი: „...ვაჟა ეგრისე-
ლის ლირიკული ქმნილებები ქართული პოეზიის
ოკეანეა...” (1989 წელი).

თამარ დაუშვილი – პოეტი: „...არცერთ თანამედ-
როვე პოეტს არ დაუნახავს ზე-სამყარო იმ თვალით,
რა თვალითაც დაანახა ვაჟა ეგრისელმა...” (1988
წელი).

გიორგი ვაშაკიძე – გაზეთების: „გეიკო ექსპრე-
სი”-სა და „მოზაიკის” მთ. რედაქტორი: „ნიჭიერება
უდიდესი განძია ადამიანისათვის, მისი მფლობელის
– ვაჟა ეგრისელის შემოქმედება არის და იქნება მა-



ნათობელი, მოკაშვაშე ვარსკლავი მრავალსაუკუნო-
განი ქართული პოეზიისა...” (1991 წელი).

ფარსადან თოფურია – მწერალი, უურნალისტი:
„ვაუა ეგრისელი დიდი შემოქმედია...საქართველოში
არ მეგულება ისეთი პოეტი, რომელიც ასე ნაყოფიე-
რად მოღვაწეობდეს და პოეზიის ასეთ მარგალიტებს
ქმნიდეს...” (1991 წელი).

აკაკი თოფურია – კრიტიკოსი, ლიტერატურათ-
მცოდნე, პროფესორი: „ქართული ლირიკული პოეზი-
ის ედემისებურ ბადში – ვაუა ეგრისელი შემოვიდა
როგორც პოეტი-გამოცანა, პოეტი-მოვლენა, პოეტი
ნოვატორი...” (1993 წელი).

გივი ინწყირველი – პროფესორი: „რაც და რამდე-
ნიც ვაუა ეგრისელზე იწერება, იმდენი დიდმხედარ-
თმთავრებზეც არ დაწერილა ალბათ...” (1967 წელი).

ილია ქავერაზაგი – პოეტი: „ვაუა ეგრისელის პოე-
ზია მიმაჩნია მსოფლიო თანამედროვე ლიტერატურის
შენაძენად...” (1981 წელი).

იოსებ ქაპანაძე – პროფესორი: „ეგრისელის პოე-
ზია არაფრით ჩამოუვარდება მსოფლიო ტიტანების
შემოქმედებას...” (1993 წელი).

გალტერ გაშია – პროფესორი: „ვაუა ეგრისელმა
ახალი მეტაფიზიკური სივრცეები გადაუშალა პოე-
ტებსაც...” (1988 წელი).



ოთარ კუპრავა – პოეტი: „ვაჟა ეგრისელმა არა
მარტო ახალი მხატვრული სახეებით, მეტაფორებით
გაამდიდრა ქართული ლიტერატურა, არამედ სრული-
ად ახალი ვერსიფიკაცია შემოიტანა პოეზიაში...”
(1975 წელი).

შოთა ლომისაძე – პოეტი, პროფესორი: „ვაჟა ეგრი-
სელი, თავისი ყველასაგან გამორჩეული, საკუთარი
ხელწერით, ორიგინალური ხმით, მოვლენათა ხედვის
მასშტაბურობით და იდუმალი ხილვების უნარით, უკა-
ნასკნელი პერიოდის ქართულ პოეზიაში თავისებურ
მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული...” (1991 წელი).

შოთა მამარადაშვილი – პროფესორი: „შეიძლება
გაბედულად ითქვას, რომ ვაჟა ეგრისელის აპოსტილიდა
20 საუკუნის პოეზიის პლანურარიუმში...” (1991 წელი).

რევაზ მარგიანი – პოეტი: „სვანეთი, სადაც
„მთებს ბილიკები დალის ნაწნავებით ჰქიდია“, ვაჟა
ეგრისელმა განუმეორებელი ეპითეტებით შეამკო...”
(1991 წელი).

ელგუჯა მაღრაძე – მწერალი, მთარგმნელი: „რა-
საც ვაჟა ეგრისელზე წერენ, ყველაფერი სწორია და
სიმართლე, რადგან იგი ჭეშმარიტად დიდი შემოქმე-
დია...” (1993 წელი).

ქოტე მელაშვილი – მწერალი, პროფესორი: „გა-
ლაკტიონ ტაბიძემ, მუხრან მაჭავარიანმა, ვაჟა ეგრი-



სელმა, თითეულმა ცალ-ცალკე თავისებური რევოლუცია მოახდინეს პოეზიაში – მხატვრული გამომსახველობის მოდელის თუ სტილის, ხერხის თუ ხმის შემოტანითა და დამკვიდრებით...” (1993 წელი).

თეიმურაზ მიბჩუანი – პროფესორი: „აღმოსავლეთ საქართველოს ჰყავდა ვაჟა ფშაველა, დასავლეთ საქართველოს ჰყავს ვაჟა ეგრისელი... ერთიანი, მთლიანი საქართველო ბუნების მომდევრალი, ორი დიდი მგოსნის მშობელია...” (2001 წელი).

ლილი მიცევიჩი – მეცნიერ-ფილოლოგი: „ადამ მიცევიჩის „ფარისივით” ამაღლებულია ვაჟა ეგრისელის პოეზია...” (1983 წელი).

შალვა მჭედლიშვილი – მწერალი: „ვაჟა ეგრისელის ათასგვერდიანი კრებული – „იქმენ ნათელი!” მე ვიტყოდი, მზესავით ამობრწყინდა ქართული პოეზიის ცაზე. მან ბევრი ახალი თქვა, უპირველეს ყოვლისა კი წარმოაჩინა, რომ რუსთაველის ქვეყანაში, მიუხედავად მის გზაზე ხელოვნურად შექმნილი დაბრკოლებებისა, პოეზია მუდმივ წინსვლას განიცდის, სულს ახლებურად ითქვამს, ახალ ფერსა და ხორცს იძენს. როგორც მლოცველი სასოებით შეაღებს ხოლმე ქრისტეს ტაძრის კარს, მკითხველიც ასევე მოკრძალებით გადაშლის ამ წიგნს და ისე შევა პოეტის წმინდათა წმინდა სამყაროში, მგოსნის სიტყვებით რომ ვთქვათ „მის კარ-მიდამოში...” (1993 წელი).



შოთა ნიშნიანიძე – პოეტი: „ვაჟა ეგრისელმა კარგა ხანია დაიმკვიდრა თავისი პოეტური ხელწერა. მისი ლექსი ჩვეულებრივ მინიატურულია, მაგრამ ტევადი. იქ ვერ აღმოჩენთ სიცარიელეს. მისი ხილვები მეტაფორის პრიზმაშია გამოტარებული და მხატვრული ორნამეტივით აღიქმება...” (1991 წელი).

ოოსებ ნონეშვილი – პოეტი: „ვაჟა ეგრისელის, როგორც ნიჭიერი მგოსნის სახელს მალე მთელი საქართველო გაიგება...” (1961 წელი)

მურმან პაპაშვილი – პროფესორი: „როგორც ლომის ბოკვერში თვლებს მხეცთა მეფე, ასევე ვაჟა ეგრისელის მინიატურებში კუთავს პოეზიის დაუოკებელი ვნება...” (1991 წელი).

სულხან ქორდანია – პროფესორი, კრიტიკოსი: „ვაჟა ეგრისელის ლექსები ცრემლებივით წმინდა და სპერაკია...” (1991 წელი).

ალექსი რაზიკაშვილი – პოეტი, ვაჟა ფშაველას შვილიშვილი: „მისარია, რომ მეოცე საუკუნეში, ვაჟა ფშაველას მერე, ბუნებისა და სამყაროს თავისებურად აღქმნები, კიდევ ერთი დიდი პოეტი შეემატა ქართველ მწერალთა რიგებს... რაც დრო გავა, უფრო მეტი ბრწყინვალება მოემატება მის პოეზიას, როგორც ამომავალ მზეს... ვაჟა ეგრისელის შემოქმედება პგავს მაღალი მთიდან გადასახედს – მომავალში...” (1971 წელი).



ილია რურუა – მწერალი: „ვაჟა ეგრისელის ყოველი ლექსი თითქოს აგებულია ატომგულის მოდელით, რომლის შეკუმშული ენერგიაც ცენტრიდანული ძალის მოქმედების კანონზომიერებით მკითხველის ფანგაზიასა და გრძნობას განიზიდავს ფეოქტადი, თვალის მომჭრელი სხივოსნების შემცველი განფენილობისაკენ...” (1989 წელი).

ნოდარ ტაბიძე – პროფესორი: „ვაჟა ეგრისელი – კაცი გაჩენილი ლექსისთვის, სიყვარულისთვის, მეგობრობისთვის...” (1991 წელი).

მორის ფოცხიშვილი – (პოეტი): „ვაჟა ეგრისელმა პეგასი, როგორც თარაშ ემხვარმა ულაყი, პოეზიის აბობოქრებულ ენგურში შეაგდო...” (1983 წელი).

ზურაბ ქაფიანიძე – სახალხო არტისტი: „როგორც ასომთავრულის, – შუმერთა უძველესი ანბანის, ასეთივე აღმოჩენა იყო ჩვენთვის ვაჟა ეგრისელის უდიდესი პოეზია.” (1991 წელი).

გურამ შარაძე – აკადემიკოსი: „ვაჟა ეგრისელის პოეზია – მეტაფორული აზროვნებების აბსოლუტური ნოვაციაა.” (1991 წელი).

ოთარ შალამბერიძე – პოეტი: „ვაჟა ეგრისელი არასოდეს არ ყოფილა რომელიმე აშკარა თუ ფარული კასტის წევრი, არასოდეს აჟყოლია მოდურ რეფორმებს. მოდის თავისით და თავის სათქმელს ამ-



ბობს. მოჰყვება თავის ფიქრის მდინარეს... და შთაგონებას, ვით ლექსის ძიძას ეფიფინება, როგორც ბავშვი, რომელმაც უცხო თოჯინას მოჰკრა თვალი. მისი პოეტური ყაბახი მისივე ბიოგრაფიაა, დაწყებული სწორედ იმ ომის დროინდელი ბავშვობიდან, კერიასთან გასაშრობად მიკიდულ ერთადერთ პერანგს რომ შესციცინებს..." (1991 წელი).

სიმონ შამფრიანი – პოეტი: „...უშბა, შხარა და თეთულდი, ვაჟა ეგრისელმა საქართველოს ცას-კარიადიტებად შეუყენა...” (1971 წელი).

ომარ შამათავა – პოეტი, პროფესორი: „...თამარ მეფის მეხოტბე თუ რუსთაველი არ იქნებოდა, ვაჟა ეგრისელს ვისურვებდი...” (1991 წელი).

ვაჟა შერვაშიძე – აკადემიკოსი: „...ვაჟა ეგრისელის პოეტური სამყარო უკდეგანოა: დაწყებული შავი ზღვის ნაპირებიდან – წყნარ ოკეანემდე. ცელებისისა და იავას კუნძულებიდან – კილიმანჯაროს და ჰიმალაის მთებამდე. სპარსეთის და არაბეთის უდაბნოდან – უსურისა და ტაიგის უდრანამდე. ნაგასაკის ნამწვრებიდან – ტროას ნანგრევებამდე. ეგრისის, შორაპნის და ციხეგოჯის სიმაგრეებიდან – ეგვიპტის პირამიდებამდე და ბაბილონის გოდოლამდე. აბას-თუმნის ობსერვატორიიდან – ირმის ნახტომამდე და ოტარიდამდე. ვაჟა-ფშაველადან – პომეროსამდე, რუსთაველიდან – გალაკტიონ ტაბიძემდე და ლადო



ასათიანამდე. შორეული მითოსიდან – ბიბლიამდე და შემდეგ ატომისა და წყალბადის ბომბებით, ათასი კატაკლიზმებით გაგულისებულ მეოცე საუკუნის მზის მიწურულამდე და მესამე ათასწლეულის თვალუწვდენელ გადასახედამდე...“ (1991 წელი).

ბაჩუკი ჩაბრაძე – პოეტი: „ღვთის საიდუმლოებას ნაზიარებმა პოეტმა ვაჟა ეგრისელმა თავის შემოქმედებაში – მისტიური სული განასხეულა და შეხსნა კოსმიური კარიბჭე მიწიერ ცოდვათა დასავანებლად...“ პარიზი, 1999 წ.

მიხეილ ჩახუძა – პოეტი, პროზაიკოსი: „დავიმახსოვროთ – 1993!

საქართველოს ისტორიაში ამ ერთ-ერთ ავტედით წელს – სისხლის წვიმებისა და ტოტალური უზნეობის ჟამს, – ღირსშესანიშნავი კულტურული მოვლენის მოწმენი გავხდით: დაისტამბა ვაჟა ეგრისელის უზარმაზარი ერთტომეული... ვაჟა ეგრისელი თავის ერთ-ერთ ლექსში წერდა: „მოვა პოეტი ნიჭის რაშე ამხედრებული და ათასწლეულს გადიჯირითებს.“ და აი, მოვიდა პოეტი იგი. „იქმენ ნათელი“ პქვია ამ უთვალავი ლექსი-მარგალიტის დამტევ წიგნს, ხოლო „პოეტი იგი“ თავად ვაჟა ეგრისელი გახლავთ – ნიჭის რაშე ამხედრებული ათასწლეულებს რომ გადიჯირითებს. 1993 წელი.



ზსალმური

ათასწლეულებს შემორჩენილი,
არესისა და კირკეს ჭალებში,
ვერიფე მე ესე ნაყოფი მწირი,
და ჰა, კოლხური ფსალმუნებით –
ვით ოჯალეშით,

გთხოვ,
გაისველო მკითხველო პირი.

1967

გაზაფხულის მოლოდინში,
პოეტიკით ცას
მხრებგაშლილს,
მხექვირა, როგორც დროშა,
ალუჩამ რომ შეა ზამთარში,
ყვავილი რომ წამოროშა.

2001



დამე ელვის თითებით
ახლაც,
როგორც წინათაც,
გეძებს გაბედითებით –
„პოლხურ ფსალმუნების“ და
ლეგენდების ბინადარს.

1999



მეტეორთა ქროლაში,
გიდაც ჰკივის-დაიქცა!
კოსმიური ჟარგონით.
მთვარე —
ნოეს კიდობანს,
ამღვრეული დამის ცა,
რადგან წარდგნას აგონებს.

1987



„პოლიტიკური ფსალმუნები“ –

დიდი,

უცხო პლანეტის,

შოთორეულ ციაგით,

მთვარის მრგვალ მაგიდაზე –

ასოებით მთიების –

ცაში ნაწერს მიაგავს.

2008



პონტოს ნაპირზე ბინადარო:

ახვიცს¹,

კარგასს² და

მელანხოლს³,

სურს დავიწყებამ ხელი რომ დარიოს

და ამღვრევს ტიონოსს⁴,

და ქორსოს⁵

და გიპოსს⁶,

ასპერს⁷ და არიოსს⁸.

1964

1,2,3 – კოლხერი (ქართველური) ტომები.

4 – ტიონოსი – მოქვისწყალი

5 – ქორსოსი – ხობისწყალი

6 – გიპოსი – ცხენისწყალი

7 – ასპერი – ჭოროხი

8 – არიოსი – ცივი

ვარსკვლავებით მოკირწყლულ,
ვითარც გამთენის ცას,
მთვარე ხელში გეპავა,
სანამ არ გაგაშეშა
პოეზიის წელკავმა.

1969



„ბედისწერის დაფიდან“

გესმის შორი ძახილი –

სხვა ცისა და

სხვა მუზის.

„ნაბოლარას¹“ ვიდაც გხმობს,

ვით „სიზმარი თამუზის²“.

1969

1 – „ნაბოლარა“ – ვაჟა ეგრისელი მეცხრე შვილია.

2 – „თამუზის სიზმარი“ – (ძველი შუამდინარეული პოეზია)



დელავს პონტო...

და წარსულის,
ცის ულურჯეს მორევს
ირთავს
და მე კოლხურ ვისმენ ყივილს,
სადღაც პრეისტორის –
ფიქრმიუწვდენ სიშორიდან.

1978



ციდან ჩამოფრენილი

სული ცისპენ იურგის,

ცაა მისი სამშობლო.

ელის მარადიული

ყოფნა —

არ საამსოფლო.

2002



1991 – 1992

ძმა ძმის სისხლს დვრის უდმერთოდ,
ბრუნავს ცოდვის მორევი
და ცა ირეას ფერს ლილის.
ქართვლს გაუწყრა ორივე –
ინანაც¹და
ენდილიც².

1992

1 – ინანა – შუმერელთა ქალღმერთი
2 – ენდილი – (ქართველთა შორეული წინაპრების)
შუმერთა ეროვნული ერთიანობის უზენაესი ღვთაება



ვარსკვლავებით სწეული,
ცივ ნიავს არ იკარებ,
რადგან დედამიწაზე,
უცხო პლანეტებივით –
ჩუმად ჩამოიპარე.

1966



ეს მეტეორი კი არადა,
ცვივა და ცვივა
ცეცხლოვანი მზის ლოდები,
რომლებიც არყევენ ცას გოდებით,
მე კი ვზივარ და...
კოსმოსში ბინადარ
წინაპარ კოლხების –
დაბრუნებას –
დღე-დღეზე ველოდები.

2014



ათასწლეულთა დელგმამ,
არა მგონია ჩუმად
რომ აუაროს გვერდი:
მიქელანჯელოს,
და კინჩს,
ალიგიერს და
გერდის.

1969



ერთი შავი დრუბელი
სადღაც მიეხებება,
ვით საწყალი დევრიში¹.
მთვარე
ზეცის საშოა,
საიდანაც მე ვიშვი.

1960

1 – დევრიში – (სპარს.) აღმოსავლურ
ქვეყნებში მოხეტიალე მუსლიმანი ბერი.



ნათლითშემოსილი მთებით,
ცისპენ რომ მიიწევს ლოცვად
და არ ეკარება რული:
გიშაა —
სამყაროს ხორცი,
ცაა — სამყაროს სული.

1971



ვარსკვლავების ბილიკებით –
ციდან ჩუმად ჩამოსული
წელი არის ასჯერ ასი:
– ჭრიალს ვისმენ მთვარის ურმის...
სიტყვის ლოდს ვთლი...
ლექსს ვამსგავსებ
ქანდაკებას ჰენრი მურის.

1969



შოთორეულ წარსულში დათარეშობს –

ათასწლეულების ურდო:

გრაალის ტაძრებს ანგრევს

და კვლავ აშენებს.

კოსმიური ხსოვნა შენში ბუდობს,

პლანეტებზე ფიქრი

არ გასვენებს...

2001



დედამიწის ჭურჭელში –
გხედავ, ვეღარ ეტევი
და ცაც გეცოტავება.
მიტომ სფეროების და
პლანეტების უღრანში
მარტო დაეხეტები
და დროში გზაარეულს –
დაგეძებს უკვდავება.

1993



ცის გონს შემორჩენილი,
წარსულის უღრანიდან –
მოხვალ ხელის ფათურით.
მაგრამ ვეღარ გამოგაქვს
მხრები –
გოლიათური.

2001



სხვას არა!

იმ ერთს ძალუბს,
სამყაროს ხსოვნით რომ ნაღმავს,
ციდან კოსმიური კარნახით, –
მდინარეს ააყოლოს აღმა
ორაგული და
კალმახი.

1972



6.ბ.-ს

განა არის იოლი,
უკვდავ,
უცხო სახელებს,
რომ აცნობ „აქაურებს“:
ბიქსელს,
ლენცს და ბიოლის,
კესტნერსა და ქაუერს.

2014



დამის ცის შორეულ წარსულში,
სად ყოფნა
არ ყოფნას ერთვის,
რადაც ჩანს, გითარცა სიფარი*.
მთიები –

გზავნილებია ღმერთის,
არსოთაგან ჯერ გაუშიფრავი.

1987

* ხიფარი – სამყაროს უძველესი ქალაქი



(ვარიანტი)

ყოფნად მოსულს
რომ არყოფნამ,
ხელი არასოდეს გახლოს,
მთვარესთან და მზესთან ახლოს,
ვარსკვლავებით დასახლებულ
მეცამეტე ცაში სახლობ.

1999



სეზანი და მარგესი

ნავლებს მთვარის ემბაზში
ყალამს –
მადლი სდის უფლის
და მზის ფერებს აკვესებს:
შაგალი და დიუფი,
სეზანი და მარგესი.

1981



პოსმიური ელგა

გარსკვლავების იქიდან –

ჩუმად გამოპარული,

შენ წიგნებს რომ ებურვის,

ღამე არა,

წარსულის –

კოსმიური ელგაა,

სტრიქონსა და სტრიქონს შეა –

ცეცხლად ჩაბუდებული.

2011



პოლიტიკი ცა

„შეხვდე რა ცაა,
ევაა რაცაა“.
გალაკტიონი

მოყვად მოსულს კოლხი,
ზღვას,
ფიანდაზად დაუფენს:
(მტერს, ვით რამზეს მეორეს,
ელის უკან მოკურცხვლა!)
ბუზს ვერავინ აუფრენს –
ჩემს კოლხეთს და...
კოლხურ ცას.

1979

ამ ლამაზ ცისქვეშეთში,
გავა ჟამი უთვლელი...
აღგივლენს პარაკლისებს.
საქართველო რუსთველის
მუდამ მოგისაკლისებს.

2014



ჰელიოსის სხივიდან –

ქვეყნად მიტომ მოვედი –

მტრები გავაგულისო:

აკ,

კოლხეთში –

ყოველთვის,

საქართველოს ვგულისხმობ.

1969



ამქვეყნიური ამაობის,
ქვესკნელში არა,
ცაში ამტანი,
შენ ხარ დემონი,
შენ ხარ სატანა,
რადგან სიცოცხლეს –
არ დაემონე!

1999



კოლხეთიდან მოსული...
(შენს მოსვლას სულ შიშობდნენ!)
ვით ზღაპრად ან
არაკად,
პოეზიის ღვთისმშობელს –
შეეწირე ზვარაკად.

2014



მწუხერი როდესაც ცის ლურჯ წიგნს,
ზღვისპირ მუხლზე რომ
გადიშლის,
ტანს ჟრუანტელი დამივლის:
ხელით გკითხულობ
ვარსკვლავებს,
თითქოს შრიფტია ბრაილის.

1983



წარსულიდან გადმომსკდარი
ბოლმა,
წევარამ ფიქრებს გისევს:
- გაიმარჯვებ! თუ გაბედე!
და... ზღვა შენთან მოგყავს ისევ,
ვითარც მთასთან მუჰამედი.


2001



გე,

სიშორის წითელ ღვინით,
გარსკვლავებმა დამათვრეს.
არ ყოფილა მთვარე მუნჯი
და სამყაროს –
როგორც ხურჯინს,
ცისქეშეთში დაგათრევ.

1991



შენ სიკვდილი ვერრას გიზამს,
თუ ჟამმა არ გაგიმეტა,
ათასწლეულების მერე,
ცად დადგები მთვარის სვეტად,
როგორც როდენი და
დერენ.

2003



შენ ხარ მცირე სოფელი

დღით და დამით მოსილი,
მიწის უარმყოფელი,
ცას რომ წაეპოტინე,
ხმა მოგეხმის ნოსელის,
პლატონის და
პლოტინეს:
შენ ხარ „მცირე სოფელი“.

1986



შორეული ზეციდან –

ცვივა დამის ბელტები,

ფერად-ფერი ყარაჩის.

შენ სიცოცხლის ჭურჭელ ში

გერა და ვერ ეტევი

და...

სიკვდილიც არა ჩანს!!!

2014



დღეთა ფრთების ფათქუნით
ციდან ჩამოფრენილი,
ისევ ცისკენ იურვი,
რადგან უსასრულობა
გელის – ზე-კოსმიური.

2010



თავს იწონებს მთიებში
ფერი შენი ალამის.
და ვით გრიგოლ პალამა,
ზეციურ სილაჟვარდეს –
ჩუმად მიესალამე.

2004



ამ წელის ოფლის შარაზე –
რათუნდ მაღულად ირბინო,
მაინც თვალს მოგვერავს
არყოფნა
და უმალ მოგინადირებს,
კითარცა ხოხობს –
მიმინო.

2004



ვითარც ადრე,
ცა მიწას,
თაგზე სეტყვის ქვას აყრის
და ურტყამს მზის უროსაც.
ის მაინც ვარდს ახარებს
და არა ავ —
გუროსთავს*.

1989

* გუროსთავი — ქვავილი



ღგას და არსად მიღის

ბორჯი

ცისქვეშ ჟამი დგას მორჩილი,
მზე კი ოვალებს აფახულებს
ისმის დღეთა წყალ-დგაფუნი:
მიუყვება გზას აფუნი¹,
უკან მისდევს მას ზარხული²,
და მორჩილი³ და
ზოთონჯი⁴,
მაგრამ არსად მიღის ბორჯი⁵.

1967

1 – აფუნი (მეგრ.) – გაზაფხული

2 – ზარხული (მეგრ.) – ზაფხული

3 – დამორჩილი (მეგრ.) – შემოდგომა

4 – ზოთონჯი (მეგრ.) – ზამთარი

5 – ბორჯი (მეგრ.) – დრო, ჟამი

უფლის სიშორეს ტირიან სანთლები,
ლოცვებში კვლავ უონავს
ხმა მომხიბლავი,
რომ სულის სიმშვიდე —
ცას და ცის იქით
ეგულვის —
გონის თვალის.

1992



ნენიკამენ

მწუხარისას,
ციური გალობით,
სამყარო შენ უნდა გაართო...
შენმა სურვილებმა თავი
შეიკავეს.
ცხოვრება მიაგავს მარათონს
და გესმის ფილიპიდის –
„ნენიკამენ!“

1967

* ნენიკამენ (ბერძ.) – ჩვენ გავიმარჯვეთ



ჭეშმარიტად,
დიახ!
მახლას!
ქვეყნად არის ისეთი რამ,
რასაც დიდი სიბრძნე ახლავს:
„ოუ არ ნახავ, ვეღარ ირწმენ,
არ ირწმენ და
ვეღარ ნახავ!“

1988



ବା ହା ପାଇଁ ୧୦୧

Յոև զեղծա գուալուտ
 շամիծա զեղար დაլուս,
 თქმულց ծուռ და
 ლეგենდուտ, —
 մოპօպօնց ձ օ რ თ ա թ დ յ
 յա¹,
 და զերց ասձ².

1987

1 – ეა – მთვარის ღმერთი (ქალაქი – ქვეყანა)
2 – აია – მზის ღმერთი (ქალაქი – ქვეყანა)



პერკულუსის სჩეტები

პომეროსის,
პინდარეს,
სული დედამიწაზე
ვერა და ვერ ეტევა
და ცას თავზე ევლება,
მიტომ ხელებს უწვდიან:
პერკულესის სვეტები,
ელისეის ველები.

2003



ერთხელ უნდა გაგიჟდე
და მთიები ზეციდან
ერთიანად აყარო,
მერე უამი იშოვო
და ლამაზი სამყარო,
ვით ჭიამ აბრეშუმის*
ტანზე შემოიქსოვო.

2000

* „გიგპანანადა“ – ინდური სიბრძნე



მახვილს გავხარ ალექსილს –
სინანულის ცრემლის ხმა,
წარსულიდან რომ გესმის
მწარე და საშინელი,
ორი იოანესი:
მინჩხისა და
სინელის.

1988



ဒုတေသနပြာ ဒာရိုလ် မိုးရာဇ်၊ —

မြတ်စွဲလ စာမိတ္ထ လျှောက်နောက်

ဝါဆို ဝါဆို အျော်လိုင်း —

„သိန္တုရ မရအဘဲတာဘဲ“ და

„ဝါဆိုလိုင်း အော်လိုင်း“.

1974

* ဝါဆိုလိုင်း အော်လိုင်း — သာမဏေဝါဆိုလိုင်း



ისე,

ვითარცა უხორცო,

მსაჯული,

რკინის მკვნეტელი,

არ ეაჯები სამოთხეს,

დმერთს,

ოოანე მინჩხივით,

არც, ვით ანდრია კრეტელი.

1979



ბრუნავს ჟამთა მორევი...
ყოვნაცა და
არყოფნაც,
ერთი არის ორივე –
ბოლოს ასე დაასკვნეს:
სწამდათ „უგუმაობა“ –
იოანე პეტრიშვილი და
იოანე დამასკელი.

1998

* „უგუმაობა“ – ორ სახევნობა



„მოვიხშრაფოთ დოცვითა სინაზულად“
იოანე ოქროპირი

ადამიდან მოყოლილი –
ზურგზე ცოდვის გადევს ბორცვი.
და წაღება მისი არ გსურს!
მკურნალ წამალს შესთხოვ დოცვით:
იოანე ოქროპირს და
ეფრემ ასურს.

1993



როს ცამ ელგას მეხი სტყორცნა,
მენავემ და
იგრძნო ნავმა,
რომ ეცვალა ფერი ბორანს.
და იმწამსვე უხილავმა
პპლავ „გააპო ზღვაი ორად“.

2004



უფლის რწმენის წყურგილედან
იგავებით დაფარული
და სპეციაკი სიბრძნის წყარო,
გითარც ადრე, კვლავ ფარულად –
მოდის,
ჩუმად მოწანწერობს...

1957



შესრულება

ზოგი უფლის საგალობელს,

არად აგდებს,

უსმენს მოლებს!!!

კა,

ჩემო თეოფილე,

ქართველებშიც რა გამოლევს,

წყალწაღებულ

ქსენოფილებს*.

1990

* ქსენოფილი (ბერძ.) – უცხოელებისა და
უოგელივე უცხოურის მოყვარული



გარსკვლავებით დასახლებულ
ცის სიწმინდეს,
სიხალისეს
ტოვებ... ათასს უვლი ზღვებს
და შენ ისევ ჭვრებ და
ისმენ,
გონის ოვალს და სულის ფრთებს.

2003



სამება

სამი იყვნენ...

და „სამება“,

ლოცვის ცრემლში აზილა,

სიყვარულით მოსილმა –

ორივე ძმამ ნოსელმა:

ბასილმა და გრიგოლმა,

მათთან ერთად მესამემ –

გრიგოლ ნაზიანზელმა.

1977



(ხუმრობით)

უკვდავებას შემოხვდები
ისე,
როგორც შენიანს.
მთვარე არა,
მზე მოგელის.
და... ფრთებს გაშლის,
ვით ნობელის,
ეგრისელის პრემია.

2014



ძილი აღარ ეკარება –
ხსოვნით დაღლილ დამის
თვალებს,
ცა ბნელს არ დაერიდა.
უმხედრებო ცხენთა ჭიხვინს,
შუბლშეკრული უსმენს
მოგარე,
მარაბდის დიდ ველიდან.

2005



დოლოენებს და მეგალიტებს

შენი ყოვნის ცის ობვაჯებს¹

მზე კვლავ აზის,

როგორც მოჭვა

და ჩეკს ლეგენდებს და მითებს,

მიტომ ბორჯი³ ფეხს ვერ მოჭამს –

შენი სიტყვის –

მენიჰირებს⁴,

დოლმენებს⁵ და

მეგალიტებს⁶.

1981

1 – ობვაჯე (მეგრ.) – საბუდარი

2 – მოჭვა – (მეგრ.) – ქრუხი

3 – ბორჯი (მეგრ.) – დრო, ჟამი

4 – მენიჰირები – მიწაში ჩასმული მაღალი ქვის სვეტები

5 – დოლმენები – ხუთი უზარმაზარი ლოდისგან

გაკეთებული „ბინა“

6 – მეგალიტი (ბერძ) – დიდი ქვა

მეცხრე ციდან გადმოსული –
აბრეშუმად და
აზიზად,
ყოველ საღამოს და დილით,
თავზე ოქროს გადგას ჩრდილი,
შენი მზის და
მზეთამზისა.

1974



ათონეზი*

აპა, საგალობელი,
წვიმა გადავიწყების,
რომ არასდროს აწვიმდეს:
„ბალავარის სიბრძნეს“ და
იოანეს,
ექვთიმეს და
გიორგი მთაწმინდელს.

1969

* ათონის მონასტერი (საბერძნეთი) –X ს.
ბალკანეთის ჩახვარებული



სტუმრად მავალს გზას მიბნევდა,
ხიდან თვალი გარეწარის.
განა ტანზე ტყავი მეცვა!
მე დახშული გავხსენ კარი,
ქრისტეს ქორწილს
დავესწარი.

1973



ვით მითიურ წინაპარს,
მთვარესავით გახურავს
თავზე ქუდი ნამუსის.
მიტომ დედამიწაზე –
ვერა და ვერ ეტევი
იცვამ ნათლის სამოსელს,
ვით ანდრია კრეტელი.

1979



მნათე

განთიადის ზარებს რეკავს,
სანთლებს ანთებს,
ვითარც ლოცვას,
მაღლა იწევს ზეცის ჭერი,
მაგრამ მაინც მნათე ცდება,
რადგან ადარ უყვარს მტერი
და წუხს მოსეს –
„ათი მცნება“.

1981



აქ ედემად გვეჩვენება
ეს საწუთო –
ჯოჯოხეთი.
მაგრამ ქვეყნად არვინ იცის,
რანაირი ჩანს იქიდან,
რადგან ყოფნას
არყოფნა სდევს,
ვითარც არწივს –
კირკიტა*.

2005

* კირკიტა – ფრინველი



၁၇၀ ၄၀၄၀ ၆၅၁၄၀

სამოთხისას აღებენ
და კარს ჯოჯოხეთისას, –
უფლის რწმენით კეტავენ,
რომ სიცოცხლე მოდიდდეს:
ორი დიდი ნეტარის –
ბრძენი ავგუსტინეს და
ბრძენი თეოდორისტეს.

1981



ტალღები –
დელვით გალეშილები,
მშიშარ ნაპირთან დაყრილან
ოხრად.

და აღვიძებენ მძინარ გლისერებს.
შავი ზღვა მაშინ უმატებს
ოხვრას,
როს აიეტის ასულს იხსენებს.

1969



შენ ხარ ალიგიერი, —

ჯოჯოხეთში ნამყოფი

და მიწის მტვრის დამგმობი.

მდგარი ყოფნა —

არყოფნა,

გოგისა და მაგოგის.

2003



დედამიწა კი სულ სხვაა,
მოკვდავთ მზის აკვანს
იქ გვირწევს,
საიდანაც ჩვენ ვიწყებით.
სიცოცხლე ხშირად
გვივიწყებს,
მაგრამ სიკვდილს არასოდეს
არ ვავიწყდებით.

2012



15 მაისი

წლები,

სიკვდილს ნელ-ნელა გაჩვევენ

უპირო ჟამთასვლით შეკრული.

ოხუომეტ მაისს კი –

დღეს შენი გაჩენის,

აღნიშნავს თბილისი,

ვითარც რომი დაბადებას

ღმერთკაც –

მერკურის.

2015



მერქ,

უამს მიმწუხრისას,

უფლის ჩუმი ბრძანებით,

ცის მწვერვალზე ატანილს,

ჩემი ცანი ცათანი,

უცხოს,

არა აქაურს,

აისხამენ გარსკვლავებს,

როგორც ძვირფას სამკაულს.

2001



სიცოცხლე და სინათლე,
გინც დაბადა,
მოსპობს ის.
გიცი, შენ ხარ მეუფე,
მარტო მიწის კი არა,
მაკრო,
მიკრო კოსმოსის.

1999



არ ეკარება თვალებს რული –
მოელი წარდგნას და
წყალდიდობას,
და ვითარც დავით –
„სჯულის კიდობანს“,
შენ „იქმენ ნათელს*“,
გარს როდეით უვლი,
თითქოს და იგი არის გრაალი
და ცა დაგცემრის
მელქოლას თვალით.

2014

* „იქმენ ნათელი“ – პოეტის ათასგვერდიანი
ერთტომეული (1993 წ.).

ხელებით გიპურია ზესქნელი,
ზე –
სამეუფო ცათანის
და ნიშნად მეცხრე ცის პოვნისა.
სამყაროს შვიდსა სვეტს,
მერვე შენ შეუდგი –
„სიმტკიცედ სოფლისა ყოვლისა“
(მინჩხი).

2014



უფალს ლოცვას აღუვლენ
“კოლხური ფსალმუნებით“ და
ნესტვითა¹ და წინწილით²,
ბობლითა³ და ათბალით⁴,
ძნობითა⁵ და ორდანით⁶
და... ხარობს ცის ტაძარი:

1978


1,2,3,4,5,6 – მუსიკალური საკრავები



პელიოდის ნაშიერს –

დედა რეა-კიბელა,
თავის მადლით გმოსავდა,
ოქროს ტახტზე მჯდომარეს,
ვითარც მგოსანს –
მგოსანთა.

2003



უხილავი სამყაროს,
ჩუმი იდუმალებით
ნათელსა გვენს შენ უფრო
და გდევს მისხი-მისხივით.
შენში ორივ მეუფობს
მზეთა მზე¹ და
მზის სხივი².

1977

1 – მზეთა მზე – მამა დმერთი
2 – მზის სხივი – ძე დმერთი



წვიმები სველი თითებით –
ღრუბლების სარკმელს
აღებენ.
გრიგალმაც ფრთები გაშალა
და ააყვავა ტალღები
ნარეკალად და
ნარშავად.

1966



(ინგლისში)

ჯორჯ ბაირონს ელოდება
და წარსულის ბორგავს ქარი.
მწუხარებით ჩანს მოსილი
მთვარე,
მერი ჩავორსივით
ენსლეის ლურჯ
სერზე მდგარი.

1983



ცით სიცოცხლედ ჩამოსული,
მღელვარ ზღვიდან დარჩა წევთი,
მზით —
სხივია დარჩენილი,
მაინც ვენახს თესლს თხოვ კეთილს,
იოანე ანჩელივით.

1979



ისტორიის „მეჯლისში“,
ვიღაც ძალად წვეული,
დავიწყების დანით კლავს:
ოცი ათასწლეულის
მქონე –
ზანა-დალის კლანს*.

1998

* „ევროპის „დის“ კლანებიდან უძველესი და უმ-
დიდრეგისა ქსენი-აზანას ან ქართული მითოლო-
გით „დალის“ კლანი, რომელიც ჩამოყალიბდა
კავკასიაში (კოლხეთში) 25 ათასი წლის წინათ“.
პროფ. კლიმენტი შელია



თუ წუთისოფლის შარაზე –
მოულოდნელად შებინდდა,
ჩემო,
წარსულთ ნუ მისტირი.
ალბათ ოდესმე,
დავიწყების უღრანებიდან,
ვიღაცა ჩვენს სულს
გამოიხმობს აქ,
სპირიტივით.

1986



“დაუჯდომენი” და

“დაგითიანი”

უკვდავების შარაგზაზე,

სიცოცხლე და

სიყვარული,

ზოგს სიკვდილთან დავით მიაქვს.

(ზოგი აწარმოებს ომებს!)

გაგალითად: „დაუჯდომენი*“;

და დავითის „დაგითიანი“.

1981

* „დაუჯდომენი“ – „აგათისტო“
(ბიზანტიური ჰიმნოგრაფი, VII ს.)



ဒေသပြည် ရွှေချောင်းမြန်မာတော်
ကုန်ဆိပ်မြန်မာဘုရား၊
ကုန်ဆိပ်မြန်မာဘုရား၊
မြန်မာနိုင်ငံနှင့်
မြန်မာနိုင်ငံနှင့်
„မြန်မာနိုင်ငံနှင့်
မြန်မာနိုင်ငံနှင့်“.


2005



აბერვა

შენ ხარ დამურვებელი
ქარისა და
ქარიშხლის,
გით ღვთის რისხვა – აბერვა:
მოხუცს –
აახალგაზრდავებ,
ახალგაზრდას აბერვებ.

2004



ნიმბად გედგა მზე –
სიმართლის,
აქ, მადლიანს, ვით არსენას.
და სამოთხე –
იქაც გელის –
შენ „კოლხური ფსალმუნებით“
და... „ჰიმნებით მიქაელის“.

2001



ოთხთა ძმათა მოზელილს,

ფერი აქვს სხვანაირი

ნათელს –

ელვის ენიანს.

მიწას,

ცას და ჰაერის

და ცეცხლის გეჟენიას.

2004



სნეულს კურნავ,
ბომას თვალს უხელ,
შენ ერთი ხარ!
ვინ სხვა,
ვინ მე,
რომ ბაძავდეს ორბს –
გულოვანს.
სიყვარულის შენ პქმნი პიმნებს,
ქრისტესავით ორბუნოვანს.

1998



იგი „განუზომელი“,
ოქროცურვილ მთიების –
შემოავლებს მზეს მესერს.
და... სიშორით შემოსავს
ნემისიოს –
ემესელს*.

1977

* ემესელი – (ბიზანტიური პიმნოგრაფი)



ცა —

მიწაა ნაწვიმარი

და ბრწყინვენ გარსკვლავები

ბნელში,

დამის ფესვით.

დღე — დედასხივნათელი

მზეთა მზის და

მესიის.

2005



ნოსტეზი

აჟა,

ნოსტე-გადაშლილი,
აქედან რა კარგად მოჩანს,
წუთისოფლის ტიალ გზაზე –
უცდომელად სიარულში:
ორი დიდი მამა-შვილი –
გიორგი და
სიაუში.

1983



ურწმუნოსა და უღმერთოს,
მყოფელს სხვათა ურვისა,
მზად იქიდან –
აქამდე,
ევლოს, როგორც ურმისთვალს,
მერე ნისლებრ
განქარდეს!

2001



ათორმეტი საუკუნე –
მოვაგროვე, როგორც ფიჩხი,
რომელიც კვლავ გოდებს,
კივის,
ვითარც გალობები მინჩხის
და ჰიმნები მოდრეკილის.

1989



ვარსკვლავივით შორეული,
გულთამპკვლელი ეს მშვენება
გიჩანს სევდად მადლის.
და სამყარო გეჩვენება
ქსელად –
დედაზარდლის.

1998



დიახეგს და დიაოზეგს

სპარსელებმა სულ იცოდნენ:

თხა რომ მგელთან

არ იძოვებს

და ყოველი მიაოხრეს:

მზე წაართეს ჰალიძონებს¹,

დიანებს² და

დიაოხებს³.

1988

1,2,3 – კოლხთა (ქართველთა) წინაპარი ტომები



მამა, ძე და სულიშმინდის
მაღლით,
სოფლის ტიალ გზაზე,
ასწლეულებს დაითვლიან:
მეფსალმუნის „დავითნი“ და,
დიდ დავითის „დავითიან“.

2006



HOMING*

რადგან ცხოვრება არის ტიალი
და წუთისოფლად წანწალს
კუნდებით,
შენც ქვეყნად ბევრი იხეტიალე
და აი, ეხლა დამაშვრალი
კვლავ „შინ“ ბრუნდები.

1987

* პოლიტინგი (ინგლ.) – შინ დაბრუნდება. მოვლენა, როდესაც სახლიდან შორს წაუვანილი ცხოველი (ძაღლი, კატა, ცხენი, მტრედი) თავისით გზას იკვლევს და შინ ბრუნდება.



გარსკვლავებით დაწინუქლული,
ცისიერი ფერი ნათლის
ტანს ეხვია ტანს ზეწარი.
შუაღამისას ხუთ ქალწულთან
სიძის მოსვლას
დავესწარი.

1995



შენ ოდით დაგუვა ბუნება,
მეთეგზისა და
მეტყველის,
და მიტომ გეხალისება
სიშორე და „ფსალმუნები“
დავით წინასწარმეტყველის.

2003



მადლით დაუშრებელი,
გვედრი,
მეც მიწყალობე:
ისე, როგორც მიეცი,
საგზლად ათასწლეულის –
დაჭით ფსალმუნთ
მგალობელს.

1993



შორი და ახლობელი,
ხილული და
ფარული,
ის ერთია – ესერა.
ცა აქვს შემოსარული,
სიყვარულის მესერით.

2006



სული უფლის მონაბერი –
უქრობ სინათლედ
და მადლად,
ცას და მიწას მოფინეს:
დიდმა თომა აქვინელმა,
მარკოზმა და
პორფირემ.

1997



ვერ დაადნო მზის ხურვებამ,
მთვარის სევდამ,

ვერც ციალმა.
ის სულია —

ცის ლაჟვარდით მომქროლავი.

უფლის სიტყვა —

ვერცხლი არა,
სულ ბაჯადლო ოქრო არი.

1976



ჩაქრა ბაგრატიონთა
მზე,
უფლის სწორების.
შენ მოვარეს და მზეს ელტვი...
გენატრება „ცხოვრება“ –
დიდი სვიმონ მესვეტის.

2015



უფლის მადლით შებუმბლული,
ხან უღონო,
ხან ლომგული,
დღე-ნიადაგ მღერის...
ტირის...
ვით პოტიკოს* გამობმული –
„სული ჩვენი“,
ვითა სირი.

2007

* პოტიკო – მახე, ოჯოჯი, სასირე



შორი წარსულის მთის და
ხღვის იქით,
თითქოს ქვეყანა ჩანს „აიების“,
შენს გარდა,
მისი არარს მნახველი.
იქ დამეები მწიფე მთიებით –
დახუნძლულ ზეცის
ტოტებს არხევენ...

1966



მუხლმოყრით,
ხელაპყრობილი,
უფალს შესთხოვდა წყალობას,
ჩემი ჩანგი და ებანი.
„მიბრძანეს რაც ბრძანებანი,
ვერ დავიმარხე მცნებანი“.
(დ. გურამიშვილი)

1971



* * *

ელვა გაერთა დეოის ფიქრივით
 და შენ მოჰყევ ქუხილივით,
 სიყვარულის სცან აურა.
 და გვიქციე უხილავი
 ხილულად და
 საცნაურად.

2001



გაიელვებს სახე ლოდის,
რომელს ორი და მიელის:
წმინდა მარიამ და
მართა,
ვითარცა „მთას დანიელის“,
ვით მფარველი
დედის კალთას.

2005



ორი ათასი წელია,
შენს სიშორეს რომ
მივტირით,
თუმც სიახლოვეს გვანიჭებ...
შენა ხარ რწმენის
ქვითკირი,
მადლის ზღუდეც და
კარიბჭეც.

2009



გენახი და აბარაბი

ურწმუნოთა ხმა არ ისმის,
დვორისმოსავთა ბორგავს ქარი,
ციონ ჩამოდის ლაპარაკი:
— ახლა ცაში ერთად არის
ვენახი¹ და
აგარაკი².

1977

1,2 – ვენახი – ქრისტეს მეტაფორაა, აგარაკი –
მარიამის („ახალი ადოქმა“ „ძველი მეტაფორული
კრებული“).



შენს მტრებსა და მოშურნეთ,
საქმე ცუდად მიუდით!
ხსნას არცერთი
არ ელის.
რას დაგაპლებს იუდა,
უფალი გყავს
მფარველი.

2006



რაც უნდა გითხრან და
გედაონ,
გამგებელი შენ ხარ ცისა,
ჟამისგან ვერ გათელილი...
გით დანიელ და გედეონ,
კიბედ,
მაყვლად და საწმისად,
ჭვრებ ღვთისმშობელს
შავთელივით.

1984



შენი სახელი

ქვ,

რამდენი წელია,

მაღავენ,

არ ამხელენ

და იწვის ვით საკირე,

ვაჟა! –

შენი სახელი –

ქვეყნადა „არ ს საკვირველ“!

(„შესაქმე“)

1999



აგშნა

კარზე როცა მოგვადგება –
ღვინის ღმერთი აგუნა,
ვარდი ესხმის ეგალსაც.
მან სიცოცხლე არგუნა –
„ახალ კაცს“ და
„ძველ კაცსაც*“.

2000

* „ცოდვილი“ ადამი იწოდება „ძველ კაცად“, ქრისტეს მიერ აღდგენილი კი – „ახალ კაცად“. (პროფ. ტიტე მოხია)



მდგარი ლოდინის ჭიშკართან,
გულისფანცქალით
რომელის
სიყვარულსაც და ალერსსაც, –
„ნეტარ არს კაცი,
რომელიც“,
ლექსს რომ ხმალივით ალესავს...

2004



სახე წითლად შეფაპლული,
მომღიმარე მთიებით
საგსე არის ცის ბანი.
უამთა ქარი არწევს ღამეს,
ვითარცა ნაძვს –
ლიბანის.

2007



მწვერვალებს რომ აფენია,
მადლია,
განა თოვლია,
და ადევს უფლის ურდული.
შენ ებრძვი,
ვითა დავითი,
ქართული სიტყვის გოლიათს,
სიბრძნის ქვით,
აზრის შურდულით.

2004



გრიგალად და ქარიშხალად,
მარტო ხარ და...
მარტო ქრი...
მიწა შიშით კანკალებს,
რადგან იწევ ზეცისკენ,
ვითარცა რქა მარტორქის.

2009



შურისძიება

სიყვარული არის ღმერთი!

მაგრამ, ჩემო,

კაცთა მოდგმა,

ერთმანეთის შურმა, მტრობამ,

სიძულვილის ჭიამ დაღრღნა!!!

მიტომ ღმერთმა

ერთხელ არა,

ორგზის მოუვლინა წარდგნა!

2014



დელვას გაჰყვა...
მის დღეებს,
წლები მზეზე აშრობდნენ...
მერე გაქრა ნისლულად.
იგი, წყლისგან ნაშობი,
მიიბარა წყლის სულმა.

2008



მამა უფალმა შემინდოს,
სითაგხედე და
სიბეცე
და თქმა სიტყვების ბრტყელ-
ბრტყელის.
„კოლხურ ფსალმუნში“
თუ ქონავს,
ხმა —
დავით ფსალმუნმეტყველის.

1997



გიორგი ჩხეთიშვილი ფარი

ამოგარდა უცებ ქარი
და ღრუბლებმა მიმოყრილი
ვარსკვლავების ბზე –
დაფარეს.
გაკრთა ელვა, ვით ღიმილი,
ვითარც ჩემი მზე და
ფარი.

2009



ვინ უნდა იყოს ნეტავი?!

კაცთა მიუვალ

შავ კლდიდან,

ქალის რომ ისმის კივილი!

ყორნისებრ გულისმფლეთავი,

მკოდავი ისრისპირივით.

2005



ძლევად საპვირველი

ქართულ სიტყვის უშქარ ჯართან,
დიდ მგოსანთა გამარჯვება
არც ბოლოა,
არც პირველი,
მაგრამ მაინც უნდა ითქვას
ეს „კოლხური ფსალმუნები“,
ვით „ძლევად საკვირველი“.

2014



ეს მიწისძვრა კი არაა, —
გგიყვებოდა ბავშვებს პაპა,
ვითარცა ცას ვარსკვლავები,
შეესია სოფელს მკალი,
აღარ დარჩა ხე და ბუჩქი,
არ სარწყავი,
არც სამკალი,
ის ხსოვნაა საწყალ მიწას,
ვით მაშინ,
დღეს აკანკალებს.

2001



სილურჯეს წუხს ცა –
კოლხური,
ბიბლიური და ნაქები,
სად ენგური მიაგორებს –
სვანურ კოშკისხელა ლოდებს,
და წყურვილი დააქვთ
რქებით
ჯიხვებსა და ნიამორებს.

1969



„ცეცხლთაგან შეჭამნეს იგინი“ –
ქრუანტელად მოებსაც
უვლის...
და გულს პვლავ ესალბუნება:
დიდი დავით მეფსალმუნის
მოყვავილე „ფსალმუნები“.

1988



სინამდვილე,
ლეგენდა,
პონტოს ზღვად დალექილი,
სურს დუნიას მოფინო
და არეულ მსოფლიოს
აწესრიგებ ენქივით*.

1977

*ენქი – შემქრთა დვოთაება, ქვეყანა



პოლიტიკი

შენ მყავდი წარსულში,
ვით მზეთუნახავი,
სხვა რაღა მენატრა!
მწუხრისას ვარსკვლავებს,
ვით „კოლხურ ფსალმუნებს“,
გინოებდი კელაპტრად.
ასი თუ ათასი წლის მერე,
კოლხეთო! –
ღმერთმა ქმნას! –
ჩემსავით,
სხვა ვინმებ მოგხედოს!

2014

შენი სული,
ვით ნეპტუნის,
ხან მშვიდი და ხან
მრისხანე,
ზღვას და ლელვას არ დაჯერდა.
აფრინდა, ვით ქარიშხალი,
კოლხეურ მითის –
ოგვაჯედან*.

1970



*ოგვაჯე (მეგრ.) – ხაბუდარი

დეკემბრის სუსტმა მიღამო,
მჭვირვალე ყინვით შემინა,
მერე კარები ჩარაზა.
მეხი კი არა,
ანაზდად,
ცამ ცხვირი დააცემინა.

1965



განვას ტამარი

წარსულიდან ხმა რომ ისმის,
ალბათ არის ქალდეველთა
ან შუმერთა:
„— ქიანას დღას ვაბდურუქი“
ეს ის ხმაა,
ვინც ცას სული შეუერთა,
დიდ ტაძრიდან ეანასი²
და ურუქის.

1977

1 – „ქვეყნად არასდროს მოვალები“ – (მეგრ.)

2 – განვას ტამარი, ქ. ურუქში (III ათასწლეული)



ელის მარადიული —
მოკვდავს სამყოფელი
და მიტომ სდევს
გულისთქმას,
რადგან სტანჯავს სოფელი,
ვით ლერწამს და
ურმისთვალს.

1986



დღენიადაგ ლოცვებით,
ვითარცა საოცრებამ,
მიაღწია „ნირვანას*“, –
რწმენის კიბით ამაღლდა
და ცაში დაივანა.

2002

*„ნირვანა“ – უკვდავება



სული – “გა”

შენი სული ყველგანაა,
სულ აქა და
სულ იქა!
დღე და დამეს ერთად იტევს,
და შენც იხე,
ვით ეგვიპტელს,
გწამს,
თან გახლავს სული – „გა“.

2013



პოლიტიკური უძალებელები

თვით უფალი მფარველობდა –
მათ მზეს ცაში ატანილს:
შურუპაქის¹,
შარუქინის²,
ქარდუს³,
ურის⁴ და ნიპურის⁵,
კოლხა⁶-კოლა⁷ –
არტაანის⁸.

1979

1,2,3,4,5,6,7,8 – უძველესი კოლხური (ქართული)
ქალაქები და სახელმწიფოები



ცას და მიწას შუა ჰკიდია
ლამის ფარდა
და გაზი კი უფლის ხილად,
ცისკენ მიუყვება ხარდანს
(თუმც „თომებმა“ ბევრი ავი
შეთითხნეს).
მაინც ძვირფას მკვდართა
ხსოვნად,
მიწას დასცქერს –
ღვთისმოშიში ზეთისხე.

1996



ფიქრი მარადიული –
გსურს სამყაროს მოჰვინო,
სხვა რა უნდა ინატრო?!
იციან, რომ „მსოფლიოს
სული“ –
შენში ბინადრობს.

2013



მიმდევალე მე

რადგან ისევ მიმელიან –
პერკულესის სვეტები,
მაცხოვარო, „მიწყალე მე“ –
ვითა იოანე მინჩხი,
ვით ანდრია კრეტელი.

2015



ვითარცა დავით ფსალმუნმეტყველის,
იყვავილებენ შენი „ბაღები“
და ქვეყნად რა გაქვს
დასამალავი:
„იქმენ ნათელი¹!“
და „ამაღლება²“
ესაა შენი „დასტურლამალი³.“

1993

1,2 – ეგრისელის წიგნები
3 – „დასტურლამალი“ – ვახტანგ VI-ს წიგნი



შოთარეულ ცის კიდეზე
ქრება...
და რომ ციმციმებს,
მარტოდმარტო,
ეული,
ის სულია პოეტის –
უხსოვარ დროს,
მიწიერ,
ტანჯვას გამოქვეული.

2004



ბარკლაის და ბაბრატიონს

ცაზე დარჩეს მზე ინახად,
რათუნდ ჩქარა დრომ იდინოს,
ცოდვა არგის აპატიოს,
ხსოვნა მაინც შეინახავს:
ბონაპარტეს,
(ბოროდინოს),
ბარკლაის და ბაგრატიონს*.

1983

*“ბოგ რატი თნ – ჯარის ღმერთია იხ“.
გავრილ დერჟავინი



გაჩენის დღიდან ლვთის მადლით,
სიცოცხლე მუდამ სიკვდილზე,
ათასჯერ მეტს იწონიდა.
და მზეც სხვა მნათზე მეტს იწვის –
მოისმის პეტრიწონიდან
ხმა –
ოთანე პეტრიწის.

1969



დავიწყების სიავეს
ბედად გადარჩენილი,
წუთისოფლის შარაზე –
საწყალობლად მობლავის:
(ხმა მთებს ელდად დაუვლის...)
ქოსი¹,
ნესტვი²,
ბობლანი³,
დავლი⁴,
დოლი⁵,
დაუვლი⁶.

1971

1,2,3,4,5,6 –მუსიკალური საკრავები

მზე როცა ჩალუსკუმდება
და მთიებს დაათოვს
დაისი,
მწუხრით მოსილი ხმა ისმის:
— ჩვენ,
ისედაც გართ ცოტანი,
„ადექ, ნათელი იღე და
განიბანე ცოდუანი“.

1993



ორი დაგითი

დღენიადაგ დროსთან დავით,
წარსულ დღეთა ხვდები
ქარებს.
სდევ ქარიშხლებს და სამუმებს.
და აღმერთებ –
ორ დიდ დავითს:
ერთს –
დვოისმოშიშს და მექნარეს¹,
და მეორეს –
„მეფსალმუნეს²“.

1984

1 – მექნარე – დავით გურამიშვილი

2 – მეფსალმუნე – დავით ფსალმუნმეტყველი

არყოფნა კი მექცეს ყოფნად
და უკალიც ამიყვავდეს,
რადგან რკინა ოქროდ
ვპირე.
კაცი ბილწი და ორპირი,
ღმერთს სძაგს,
და მე რად მიყვარდეს!

1998



ათასმა ეშმამ და ბელზებელმა,

ღამის წყვდიადში თავი

მიმალა,

რადგან მაცდურთა ვარ

გამკიცხველი.

მეცამეტე ცის იქით –

მიმავალს,

მწამს:

„მე დამიცვენ გზანი

ფიცხელნი“.

(ვ. 6,4)

2007

მუცლით მეზღაპრე –

მზაპგარი

ყოფნა,
არყოფნის მინდორზე,
ცოდვა-მადლს ერთად
ლესავენ,
ერთად დაირწია აკვანი:
მზის და სიცოცხლის მთესავის,
მუცლით მეზღაპრე –
მზაპგარის.

1972



შურის ძერამ წარგვტაცა,
რაც რამ გვქონდა
კაცური...
და ახლა დავასკვენი,
რომ შენს „გულს თხრის“
მაცდური,
ისე, ვითა გარსქენის.

1977



მზის მაღლს გამოყოლილი,
მოფრენილი ზეციდან,
ისევ ცისკენ იურვი,
მიწიერი ცოდვისგან –
განგმენდს ცა –
კოსმიური.

2013



02 აღმისა

(2011 წლის 15 მარტი)

გრგვინგა ოკეანეთა –

სივრცეს აპობს აისის

და ბობოქრობს ცუნამი.

იმედები ცურავენ –

ზღვაში აპოკალიფსის*.


2011

*წიგნი, რომელიც შეიცავს მისტიკურ
წინასწარმეტყველებას ქვეყნის დასახულზე



დეთისმოშიში უნთებ სანთლებს,
მაინც ციდან ძილგამკრთალი,
ძირს ჩამოდის ხმა –
მეხური.
უფლის ხატს რომ მოჰკრა თვალი,
უნდა აჲყვე ლოცვის –
ოქროს საფეხურებს.

2010



საწუთოსთან ჭიდილით,
უამმა ვეღარ დაგდალა,
აში ტანჯვა ცაში გელის,
რადგან შენი სახელი
წმინდაა და მაღალი
და არის საშინელი.

2013



მრავალი და ნინები

ისტორიის ბნელ სარდაფში,
დავიწყების ჯირკზე მჯდარი –
ერებეთი და
ნინევი,
თვალებს ახელს ისე საწყლად,
ვით ჟამისგან ნაღვინევი.

2001



— სული არის უკვდავი,
ვითარც ბრძანებს პლატონი,
არის ცის გამგებელი
და ცაშივე ბატონობს,
რასაც ეჭვობს
ჰეგელი.

1967



აქ ყოფნის დიდ მზეს და
იმედს,
ვინც რომ მოგვცა,
იგი გვარომევს.
მაინც მის წინ –
ძე – ადამის,
თავს ვერაფრით ვერ ვიმართლებთ,
რადგან მოსვლით,
კაცთა მოდგმას,
დამბადებლის ბევრი გვმართებს.

2012



დაიანები

კოლხეთს იყვნენ წვეულნი,
და იქიდან –
აქამდე,
ხუთიათასწლეულის –
მეტი დაიგვიანეს!
ახლა ვდგავარ ფაზისთან
და მთელი ხმით მოვუხმობ –
ნათესავ დაიანებს.

1972



მაცილს თავის წილს მიაგებ
და მზეთამზეს სანთლებს
უნთებ.

ფოთოლს კოცნი ნედლს და
ხმელსაც.

და აღმერთებ სიტყვას მართალს,
გითარც „ახალ კაცს“
და „ძველსაც“

კით ძველსა და ახალ აღთქმას.

2003



ისტორიას კარგად ახსოვს,
ფაზისის და პონტოს
სანაპიროზე,
თუნდ ერთი ხის დამრგველი –
იყო კოლხი...
სულ ერთია, –
ლაზი,
ჭანი,
გარგველი.

1992



კაცთა მოდგმის გაჩენაზე,
მითიდან თუ
თქმულებიდან,
ისმის სულ სხვა მოტივი:
ალ-ღაზალის,
ალ-აშარის,
პლატონის და პლოტინეს.

1962



კოლხეთის ცის ლაშვარდში
პირველად რომ ინათა,
თითქოს დმერთი ოდი ვარ.
და, ვით ეგზიუპერი
(მოდგმა „ქართლოსიანთა“),
ბავშვობიდან კი არა,
კოლხეთიდან მოვდივართ.

1987



ვით უფალმა ეს სამყარო,
შენც ლექსებს ქმნი
„არაფრისგან“,
და ჟამთასვლა ასე მიღის...
თუმცა სიკვდილს
ბევრი ელის:
ხმა მოისმის ალბერტ დიდის,
ანსელმ კენტერბერიელის.

1984



სულიომინდის ქნარები

სადღაც მარადიულში –
ისევ მიეჩქარებათ,
უფლის მადლით
შეფუთვნილთ
სულიწმინდის ქნარები –
დღე-ნიადაგ გიხმობენ:
„რომ თქვენ თავს
არ ეკუთვნიოთ*“.

1977

*პავლე მოციქული, კორინთელთა /7,19; 8,364/



ისე, ოოგორც ბასილ დიდი

გრძნობ „მობერვას“ უცხო ქარის
და შენი გზა სხვაგან მიდის,
მისდევს ოქროსრქიან ირემს.
სულიწმინდის უკრავ ქნარებს,
ისე, ოოგორც ბასილ დიდი¹
და ნეტარი ეფრემ მცირე.

1974



შორეული წარსულიდან
ლეგენდები და
მითები,
ენგურივით ისევ მოქუს
და მეც ისევ,
ვით ფურნეე*, ძველ ბერძნულში,
ავლავ ვკითხულობ ათასობით
სიტყვას კოლხურს.

1999

*პოლანდიულმა მეცნიერმა ფურნეემ ძველ
ბერძნულში 5 000-ზე მეტი კოლხური (მეგრული)
სიტყვა აღმოაჩინა



დაღლილს მისნობით და
სიღამაზით,
წარსულის მითში სძინავს
ელისეს.
აღარც მოსე ჩანს,
აღარც აბრამი.
და ციდან ვიღაც იქნევს
ელვის ხელს,
დიდი სინათლით სივრცეს
აბრამავებს.

1988



ეს საწუთო ორია,
აბრეშუმში ჯვალოს აქსოვს.
სხვებმა უნდა გაიაზრონ:
რაც შენ გიხეტიალია,
ალბათ მსგავსი აღარ ახსოვს:
არც ოდისევს,
არც ენეასს,
არც იაზონს.

2014



ცის მკერდზე მთიებად ჰყვავიან,
წინაპრის სისხლის წვეობი...
და გზები საქართველოს ხსნის:
ყიფინა
და ხმალთა კვეთება –
მარაბდის,
ქარჩოხის,
ქსნის.

1998



გახსნილია გზა და კარი,
„გურჯი“
თათარს მაინც ვეღარ
ითვისებს.
ოთხასი წლის მერე ისევ,
ყიზილბაშთა ძახილს ისმენს
გორის ციხე,
განჯისა და
ბირთვისის.

2002



ციურ „კოლხთა ფსალმუნებს“
დამეს ვუთევ...
ვითა დამეს ვუთევდი,
რადგან იგი არის ლოცვის ტაძარი.
და მე ვამბობ,
როგორც მარტინ ლუთერი,
„აქ ვდგავარ და სხვანაირად
არ ძალმიძს“.

2014

მარტივობი, ძსანი, ბირთვისი


საქართველოს ცა და მიწა,
აბასმა ვერ მიითვისა...
მიტომ ვედარ გახდა მშვიდი.
ჩალმიანი ოცდაშვიდი
ათასი წევს მარტყოფში და
თოთხმეტი კი ქსნის ციხესთან
და თორმეტი იქ –
ბირთვისთან...
ვერც კახეთი და ვერც ქართლი
მომხდურმა ვერ მიითვისა!

1976



დიდ კოლხოსის ნაშიერი,
ვით მზის ძე და ნათესავი,
მიხვალ მთვარის ხეივანით.
ელი ცათა სასუფეველს –
მათესავით,
რადგან ცოდვა „შეინანე“.

2005



დამეული დარბაზიდან –
გარსკვლავების გისმენ
პაკუნს,
ეს სამყარო ცხრად კი არა,
ვცანი ათად.
შევციცინებ მადლით სავსე
ოქროს ტაძუქს,
მზეთა მზეს და
ცანი ცათანს.

1981



ძასძები

იცი,
რასაც აკეთებ,
არაფერი გეშლება...
ხეთურ-ლურსმულ ტექსტებში –
სად სწერია ქასქების* –
ძველკოლხური გვარები:
ქაშქია და ქათხარია,
შარია და ფიფია,
დოლ-ბაიასაც დავეძებ... და
დღეებიც მიჰქრიან...

1992

*ქასქები – წინახეთური მეგრულ-ჭანური ტომები
(ძვ.წ. XV – XIII სს.)

მნათ-მოწაფით ათორმეტით

(შუბლზე ფერი ადევს ნაცრის)

აღსავლით რომ მიისწრაფვის –

მზეა – ქრისტე

და ოუდა – ბნელი დამე

უპან მისდევს,

რომ ცისკრისას ეამბოროს

და დღე გასცეს!

1992



წესრიგს იცავ კოსმიურს,
უფალივით უვლი თავს,
მაგრამ მაინც ემდური:
ყოვლის მსმენელ –
გულის-ყურს.
ყოვლის მნახველ
სულის თვალს.

2012



ვითარც შენ იგავებით,
დღე-ნათელი,
ვინც ადიდა,
მას გამოჰყავს თერგი კლდიდან.
შენ აოტე შენი ხალხი
წყვდიადიდან,
ვითარც მოსემ –
ეგვიპტიდან.

1977



რეკვიესი

(2011 წელი, მიწისძვრა იაპონიაში)

სივრცე მიაქვს ქარს და ცუნამს¹
და უფალი აღარ უშლის,
კვლავ ზეიმობს ცად ეშმაკი.
და ადამის ძველ ცოდვაში ისევ
ცურაგს:
ცუპუსიმა²,
მიაგი³ და სანრიკუში⁴,
იგატე⁵ და იშნომაკი⁶.

2011

1 ცუნამი (იაპ.) – გიგანტური ტალღები
2,3,4,5,6, – იაპონიის ქალაქები

მებაღე

ლოცვით და უფლის დიდებით,
ცხრავე ცისქარი შეაღე
(არც ლეგენდაა,
არც მითი).
არ ღირსებია მიწიერს,
ფსალმუნმეტყველი დავითის
მერე,
შენსაგით მებაღე!

1964



ალბათ ვერცხლი ერია,
შენი ლოცვა მზეთამზეს*,
თუკი არ მიუვიდა.
მაშინ უნდა დაიხრჩო
თავი,
როგორც იუდამ.

2009

*მზეთამზე – მამალმერთი



წარსულიდან ხმა ისმის –

ბრძენი მაკიაველის:

– სამშობლოა მთავარი!

მისი ოქრო მთა-ველის,

დღენიადაგ მატება.

– სამშობლოა მთავარი,

მას არ ედალატება!

1996



ქალდევნები

ცეცხლის ალში იწვოდა

მთებიცა და

გელებიც.

მომხდურს სისხლი სწყუროდა.

და...

ძველ მცხეთას წვალებით,

ვინც მოვიდა ურიდან*,

ურიები კი არა,

იყვნენ ქალდევნები.

1978

*ური – უძველესი ქალაქი – სახელმწიფო
შემქრები (ძვ. წ. IV ათასწლეული)

(ვარიანტი)

კოლხეთის მკვიდრი,
ზღვის ნაშიერნი,
ხალხი ლეგენდა,
ხალხი ზღაპარი:
ჰალიძონები,
მაკრალები და
ქასქები,
საით წავიდნენ,
ან სად ჰპოვეს
თავშესაფარი?!
დელავს შავი ზღვა და...
ჩემსავით გულზე ასკდება.

1988

უფლის ხელით ნაწერი,
განა ვარსკვლავებია,
ისინია რიცხვები.
ჩემი ცის მიმწუხრისას –
სიყვარულის მწვევ
კოცონს
ჩუმად მივეფიცხები.

2007



დრო ერთია,
მთლიანი,
უფლის ანგელოზები –
მას დღე-დამედ არ ჰყოფენ.
ენატრებათ ამიტომ ხვედრი
ამფიბიების,
ვით ევას და
ადამის,
სიყვარულის ნაყოფი,
ცას ასხია მთიები.

1972

ცას თვალებში უდგას სევდა,
არ ჩანს ჟამი სადარონი,
მაგრამ შენი ფსალმუნები,
ხმელ კვერთხს უცებ სასწაულად
გაანედლებს,
ვით აარონი.

1994



0 გ დ ა

„წავიდა (იუდა) ში შთვალება
და მოუკედა“
ოთხ.

იყო ეშაფოტი
და იყო გილიოტინა,
საიქიოს მგზავრობის
ერთ-ერთ ლაიტმოტივად.
ახლა თოკით „სიკვდილი“ უფრო
გააქტიურდა
და როს გნახ თოკ-ში შთველს,
გაიელვებს იუდა.

1997



გზას მიჰყვებოდი ეკლიანს,
არც გარდი ჰყვაოდა,
არც იელი.
არ გქონდა შენ სხვა არჩივი.
შენ „ფსალმუნებმა“
გადაგარჩინეს,
ვითარცა ღვთის მადლმა –
დანიელი.

2013



ციდან ხმა რომ ისმოდა,
მეხთა-ტეხა არ იყო,
ეს უფალი ბრაზობდა.
ედემ-ბაღში აპრილის,
თუკი შესვლას აპირებ,
ლოცვით უნდა შეხვიდე,
უფლის სადარბაზოდან.

2003



* * *

გითარც წამი, გავიდა
ორი ათასწლეული
და ოვეები ნაკლელი,
რომ მოისმის გოდება –
დედის,
ჯვარზე
გაკრელ

2011



(ვარიანტი)

კავკასიონი გეპყრა ფარივით,
არწივები ფრთებს –
აქ ილესავდნენ.
და ვითა გეა, თავის ანტეოსს,
ძალას გაძლევდა პონტო
ევქსინის.
აი, ამიტომ ყველა „ბრძოლიდან“
გამარჯვებული გამოსულხარ
აქილევსივით.

2014

შენს პატარა გზას თუ ბილიკს,
შორს მიმავალს,
თუმც ერთ ციდას,
შერის თვალი უმზერს ციგად:
სულ სხვა გარსპლავები
ცვივა,
„კოლხურ ფსალმუნების“ ციდან.

2009



0188 პლეგად საპგირველი

დიდგორიძან მოისმის –

ზარი დიდი დავითის,

რაც ცხოვრებას მიადგილებს.

მჯერა, ყველა ლეგენდა,

თქმულება

და მითი –

დგას კვარცხლბეგზე სინამდვილის.

1977



(ვარიანტი)

ბრძენის სიტყვებს ვიმეორებ:

— არის ქვეყნად ისეთი რამ,
მისტიური რასაც ახლავს.

თუ არ ნახე,

ვერ ირწმუნებ,
არ ირწმუნებ?!?

ვეღარ ნახავ!

2001



წინაპართა ხმები ისმის –

აქ –

ფაზისთან,

იქ – ნიღოსს.

ცას ვარსკვლავთა ნოტი შვენის.

ზღვა – ფერწერულს –

მოჰგავს ტილოს –


მატისის თუ ბოტიჩელის.

1989



დღეებსა და ღამეებს –
ზურგზე მტკერი ადინე...
შენს წიგნშია ყოველი:
წუთისოფლის უღრანში,
მამის და ძის
წყალობით
რაც კი მოინადირე.

2000



01.08 – 01.09.2011 – 2011

ზღვები...

ოკეანები...

შეძრწუნდნენ და შეშფოთდნენ...

ყოველივე ერთმანეთში აიბურდა.

მიწა იძრა თუ უეცრად

განურისხდათ დმერთი

ბუდა.

2011



1992

ყვავილობის დარი იდგა,
მაგრამ როცა ძმამ
ძმა მოჰკლა,
ცოდვა დადგა ულოსავით.
და მას შემდეგ
ისხამს მიწა –
ეპლებსა და კუროსთავებს.

1992



„ხომეური დამწერლობა ითანე
ლოაზმა (იქროთეროსმა) შექმნა“.

ნოდარ ხვედრელიძე

ქართველები
სომებთა

შეურს,
ღვარძლსა და სიძულვილს
ძლივს-და იგერიებენ,

რადგანაც მათ იციან:

გარდუხდელი ვალი აქვთ –
იოანე¹ ლაზის და
პეტრე იბერიელის².

1987

1 – მითრიდატე – (შემდეგში ითანე) ლაზი,
კოლხეთის აკადემიის მოძღვართ-მოძღვარი
(რექტორი) V ს.

2 – პეტრე იბერიელი (არეობაგელი) – იბერიის
უფლისწული (V ს.)

უხსოვარ დროის მითებიდან,
ისე,
ვითარცა ცხვრის ფარას,
ათასწლეულებს მოდენი...
„ოქროს საწმისი“ გიგარავს
რაინდს –
„გრაალის ორდენის“.

2009



ვითარცა მზე სამყაროს,
ვარსკვლავების სამოსი,
ავგაროზად გაცვია.
შენი „ფსალმუნები“ კი,
არის არსთაგამრიგის
მადლის –
ემანაცია*.

1994

*ემანაცია (ლაო) – გამოსხივება



ციდან სტუმრად ჩამოსული

სული —

ცაში ეზიდება

სხეულს...

მაგრამ აწ შენშია:

მზის,

მთვარის და ვარსკვლავების

ნათელიც და...

ზე-დიდებაც.

2004




განქარდება ცისქვეშეთში
უოველი,
იმედი კი მაინც ბედის
ცდაშია.
მზე შორსაა, მაგრამ მთვარე
ახლოა.
„მშვიდოა მიწა“ –
მეცამეტე ცაშია,
სად ნეტართა დიდი სამოსახლოა.

1976



ვარსკვლავებით დაწინაურები,
ნათლის სამოსელი გეცვას,
არ დაჰკრავდეს ფერი
ბინდის.
და ისე, ვით ოქროპირმა,
გსურს აქციო მიწა –
ზეცად,
რომ „იქ“ ყოფნა გქონდეს მშვიდო.

2012



პელაზგოსი

მითით და ლეგენდით,
ცეცხლით და ომებით,
ათასწლეულების კარები მოხურე.
უკან ვერ დაბრუნდები ვერასდროს.
ეგეოსის ნაპირთან ხმა ისმის
კოლხური:
— პელაზგოს!
„დვთისდარო²!“ —
პელაზგოს!

1976

1 — პელაზგოსი — პელაზგების ეთნარქი, ეპონიმი
2 — „დვთისდარი“ — პომეროსის სიტყვაა



ასხის მთებთან და ურთასთან

როგორც ათასწლეულები,
ღრუბელს
ღრუბელი სდევდა და
ბნელში ქუხილს დაურთავდა.
როს გრაალმა გაიელვა —
ასხის მთასთან
და ურთასთან,
ვთქვი: სიცოცხლე არ ილევა.

1979



ცით მოსული,
ცის ქვეშეთში,
რადგან სიამაყით დახვალ,
მწამს სამყაროს ყველა კუთხეს,
ყველა კუნძულს,
რა დღეს,
რა ხვალ! –
გაგაგონებ მზით დათაფლულ
ქართულ „ღურჭულს“.

1999

*ღურჭული (მეგრ.) – გალობა



08၉၀ၯ၀ ၈၃၇။

თვალებგადმოკარკლულები –
ჭონჭყში ყრია მოყიყინე
ბაყაყების ნაფოტები.
დასიცხულნი ცას შესცქერენ,
წყალს და წვიმას
აბოდებენ.

1964



მიწას

ცა უყვარს დასაბამიდან,

მისი მზის გული ბევრჯერ

დაიწვა,

ბევრჯერ ყოფილა სიცოცხლით მთვრალი

და, აი,

ახლა,

მყინვარწვერით სურს დედამიწას,

ცას –

სიყვარულით დათხაროს თვალი.

1973



შიგნი – ტაძარი

(მინაწერი ვაჟა ვერისელის

„დოდეცერი ფსალმუნების“ 1575

გვერდიან მეცნიერებათა

აღაპყრობენ ხელებს ცისპენ,

თვალები აქვთ ცრემლით სველი...

ლოცულობენ...

დიდგულობენ...

როცა ვაჟა ეგრისელის

„ფსალმუნების“ რომ

კითხულობენ.

2012



ეგეოსის ადამი

უფლის ძე —

პელაზგოსი,

მრავალათასწლეულთა —

ნაპირებზე გადავა!

ჰომეროსი მას თვლიდა,

„ეგეოსის ადამად“.

1964



დილა,

დამის ფარდაგს ბერტყავს

და გაცვივა მნათთა მტვერი.

ვით ქორიბის მთაზე მოსეს,

ცით ნაკერი,

ლოცვის ფერი,

ნათლის სამოსელი გმოსავს.

2013



სოფელი,

საწუთო

„მო, ხოვდისა მრავალნი ხაცოურნი
ჩვენდა რწყელია“.

არჩილი

„მივყვებ ხოველნა, ავის მეოველნა, ვაი!“
ვახტანგ მექქენი

„ვაი, ხაწუთროვ, ცრუო ხოველო“.

დავით გურამიშვილი

სამ პოეტს ერთი აწუხებს –

„საწუთოს“ გაუტანლობა,

სხვა არაფერზე არ ჩივის;

ერთი აქვთ საგოდებელი:

ვახტანგს, დავითს და

არჩილის.

1980

ცისკარივით მზის ხელებით,

მეცხრე ციდან მოგიხმობდა

შენ

სამყაროს დია ჭერი

და გარჯა არ გასვენებდა –

ფუტკრისა და

ჭიანჭველის.

2012



ადამ გადმონი

მეფობს ქარი და ქაოსი,
არა ჩანს არც გეა,
არც ზევსი,
არავინ არავის არ ჰმონებს:
მიწიერ ადამის ხმა ესმის,
ცისიერ
ზე-ადამ კადმონის*.

1989

*ადამ კაღმონი – „პირველდედანი მთელი
კაცობრიობის“



მეოცე საუკუნე

შავი ღრუბლით დაფარული,
შორით მოჩანს ცა —

მდიდრული,

მაგრამ წითელ ქარს და...

წითელ

ჭირს უპყრია განუპურნელს —

მწუხარივით თვალდაბინდული,

გონდახმული საუკუნე.

1971



სარჩევი

ფსალმუნი	25
*** (გაზაფხულის მოლოდინში)	26
*** (დამე ელვის თითებით)	27
*** (მეტეორთა ქროლაში)	28
*** („კოლხური ფსალმუნები“)	29
*** (პონტოს ნაპირზე ბინადართ)	30
*** (ვარსკვლავებით მოკირწყლულ)	31
*** („ბედისწერის დაფიდან“)	32
*** (დელაგს პონტ...)	33
*** (ციდან ჩამოფრენილი)	34
1991 – 1992	35
*** (ვარსკვლავებით სნეული)	36
*** (ეს მეტეორი კი არადა)	37
*** (ათასწლეულთა დელგმამ)	38
*** (ერთი შავი ღრუბელი)	39
*** (ნათლით შემოსილი მთებით)	40
*** (ვარსკვლავების ბილიკებით)	41
*** (შოორეულ წარსულში დათარეშობს) ...	42
*** (დედამიწის ჭურჭელში)	43
*** (ცის გონს შემორჩენილი)	44
*** (სხვას არა!)	45

*** 6. ბ. – ს.....	46
*** (დამის ცის შორეულ წარსულში).....	47
*** (ყოფნად მოსულს).....	48
სეზანი და მარკესი	49
კოსმიური ელგა.....	50
კოლხური ცა	51
*** (ამ ლამაზ ცისქვეშეთში).....	52
*** (პელიოსის სხივიდან).....	53
*** (ამქვეყნიური ამაობის)	54
*** (კოლხეთიდან მოსული).....	55
*** (მწუხრი როდესაც ცის ლურჯ წიგნს)....	56
*** (წარსულიდან გადმომსკდარი)	57
*** (მე)	58
*** (შენ სიკვდილი ვერრას გიზამს).....	59
შენ სარ მცირე სოფელი	60
*** (შორეული ზეციდან).....	61
*** (დღეთა ფრთების ფათქუნით).....	62
*** (თავს იწონებს მთიებში)	63
*** (ამ წუთისოფლის შარაზე)	64
*** (ვითარც ადრე).....	65
დგას და არსად მიდის ბორჯი	66
*** (უფლის სიშორეს ტირიან სანთლები)....	67

ნენიკამენ..	68
*** (ჭეშმარიტად)	69
ეა და ვერც აია.....	70
ჰერკულესის სვეტები	71
*** (ერთხელ უნდა გაგიჟდე)	72
*** (მახვილს გავხარ ალესილს)	73
*** (ვითარცა ვარდს შირაზის)	74
*** (ისე).....	75
*** (ბრუნავს ჟამთა მორევი...)	76
*** (ადამიიდან მოყოლილი)	77
*** (როს ცამ ელვას მეხი ტყორცნა)	78
*** (უფლის რწმენის წყურგილედან)	79
ქსენოფილები	80
*** (ვარსკვლავებით დასახლებულ).....	81
სამება.....	82
*** (უკვდავებას შემოხვდები)	83
*** (ძილი აღარ ეკარება).....	84
დოლმენებს და მეგალითებს	85
*** (მეცხრე ციდან გადმოსული)	86
ათონში.....	87
*** (სტუმრად მაგალს გზას მიბნევდა)	88
*** (ვით მითიურ წინაპარს)	89

მნათე	90
*** (აქ ედემად გვეჩვენება)	91
ორი დიდი ნეტარი	92
*** (ტალღები)	93
*** (შენ ხარ ალიგიერი)	94
*** (დედამიწა კი სულ სხვაა)	95
15 მაისი.....	96
*** (მერე)	97
*** (სიცოცხლე და სინათლე)	98
*** (არ ეკარება თვალებს რული)	99
*** (ხელებით გიპყრია ზესკნელი)	100
*** (უფალს ლოცვას აღუვლენ)	101
*** (პელიოსის ნაშიერს).....	102
*** (უხილავი სამყაროს)	103
*** (წვიმები სველი თითებით).....	104
*** (ჯორჯ ბაირონს ელოდება)	105
*** (ციო სიცოცხლედ ჩამოსული)	106
*** (ისტორიის „მეჯლისში“).....	107
*** (თუ წუთისოფლის შარაზე)	108
„დაუჯდომელი“ და „დაგითიანი“	109
*** (ცეცხლი და შრიიტებათ)	110
აბერე	111

*** (ნიმბად გედგა მზე)	112
*** (ოთხთა ძმათა მოზელილს).....	113
*** (სნეულს ქურნავ).....	114
*** (იგი „განუზომელი“).....	115
*** (ცა)	116
ნოსტეში	117
*** (ურწმუნოსა და უღმერთოს)	118
*** (ათორმეტი საუკუნე)	119
*** (ვარსკვლავით შორეული).....	120
დიანებს და დიაოხებს.....	121
*** (მამა, ძე და სულიწმინდის).....	122
Homing	123
*** (ვარსკვლავებით დაწინწკლული)	124
*** (შენ ოდით დაგყვა ბუნება)	125
*** (მადლით დაუშრებელი).....	126
*** (შორი და ახლობელი).....	127
*** (სული უფლის მონაბერი).....	128
*** (ვერ დაადნო მზის ხურვებამ)	129
*** (ჩაქრა ბაგრატიონთა).....	130
*** (უფლის მადლით შებუმბლული)	131
*** (შორი წარსულის მთის და)	132
*** (ზუხლმოყრით).....	133

*** (ელვა გაკრთა ლვთის ფიქრივით).....	134
*** (გაიელვებს სახე ლოდის)	135
*** (ორი ათასი წელია).....	136
ვენახი და აგარაკი	137
*** (შენს მტრებსა და მოშურნეო)	138
*** (რაც უნდა გითხოვან და).....	139
შენი სახელი.....	140
აგუნა	141
*** (მდგარი ლოდინის ჭიშკართან).....	142
*** (სახე წითლად შეფაკლული).....	143
*** (მწვერვალებს რომ აფენია).....	144
*** (გრიგალად და ქარიშხალად).....	145
შურისძიება	146
*** (ლელვას გაჲყვა...)	147
*** (მამა უფალმა შემინდოს).....	148
ვითარც ჩემი მზე და ფარი	149
*** (ვინ უნდა იყოს ნეტავი?!)	150
ძლევად საკვირველი.....	151
*** (ეს მიწისძვრა კი არაა)	152
*** (სილურჯეს წუხს ცა).....	153
*** („ცეცხლთაგან შეჭამნეს იგინი“)	154
*** (სინამდვილე)	155

პოლიტიკური უსაფრთხეები	156
*** (შენი სული).....	157
*** (დეკემბრის სუსტება მიღამო)	158
ეანნას ტაძარი	159
*** (ელის მარადიული).....	160
*** (დღე-ნიადაგ ლოცვებით)	161
სული – „გა“	162
პოლხა – პოლა – არტაანის.....	163
*** (ცას და მიწას შუა პკიდია)	164
*** (ფიქრი მარადიული)	165
მიწყალე მე.....	166
*** (ვითარცა დავით ფსალმუნმეტყველის) ..	167
*** (შოორეულ ცის კიდეზე)	168
ბარკლაის და ბაგრატიონს.....	169
*** (გაჩენის დღიდან დგოთის მადლით).....	170
*** (დავიწყების სიავეს)	171
*** (მზე როცა ჩალუსკუმდება)	172
ორი დავითი	173
*** (არყოფნა კი მექცეს ყოფნად)	174
*** (ათასმა ეშმამ და ბელზებელმა).....	175
მუცლით მეზღაპრე – მზაკვარი	176
*** (შურის ძერამ წარგვეტაცა)	177

*** (მზის მადლს გამოყოლილი)	178
იაპონია	179
*** (ღვთისმოში უნთებ სანთლებს)	180
*** (საწუთროსთან ჭიდილით).....	181
ერებეთი და ნინევი	182
*** (- სული არის უპვდავი)	183
*** (აქ ყოფნის დიდ მზეს და).....	184
დაიანები.....	185
*** (მაცილს თავის წილს მიაგებ)	186
*** (ისტორიას კარგად ახსოვს).....	187
*** (კაცთა მოდგმის გაჩენაზე).....	188
*** (კოლხეთის ცის ლაჟარდში).....	189
*** (ვით უფალმა ეს სამყარო)	190
სულიწმინდის ქნარები.....	191
ისე, როგორც ბასილ დიდი	192
*** (შორეული წარსულიდან)	193
*** (დადლილს მისნობით და)	194
*** (ეს საწუთრო ტიალია)	195
*** (ცის მკერდზე მთიებად ჰყვავიან).....	196
*** (გახსნილია გზა და კარი).....	197
*** (ციურ „კოლხთა ფსალმუნებს“)	198
მარტყოფი, ქსანი, ბირთვისი	199

*** (დიდ კოლხოსის ნაშიერი)	200
*** (ღამეული დარბაზიდან)	201
ქასქასები	202
*** (მნათ-მოწაფით ათორმეტით)	203
*** (წესრიგს იცავ კოსმიურს).....	204
*** (ვითარც შენ იგავებით).....	205
რეკვიემი	206
მებაღე	207
*** (ალბათ ვერცხლი ერია).....	208
*** (წარსულიდან ხმა ისმის).....	209
ქალდეველები.....	210
*** (კოლხეთის მქოდრი)	211
*** (უფლის ხელით ნაწერი)	212
*** (დრო ერთია)	213
*** (ცას თვალებში უდგას სევდა)	214
ოუდა	215
*** (გზას მიჰყვებოდი ეკლიანს).....	216
*** (ციდან ხმა რომ ისმოდა).....	217
*** (ვითარც წამი, გავიდა)	218
*** (პავასიონი გეპურა ფარივით).....	219
*** (შენს პატარა გზას თუ ბილიკ).....	220
ისევ ძლევად საკვირველი	221

*** (ბრძენის სიტყვებს ვიმეორებ)	222
*** (წინაპართა ხმები ისმის)	223
*** (დღეებსა და დამეებს)	224
ისევ იაპონია – 2011	225
1992	226
*** (ქართველები)	227
*** (უხსოვარ დროის მთებიდან)	228
*** (ვითარც მზე სამყაროს)	229
*** (ციდან სტუმრად ჩამოსული)	230
*** (განქარდება ცისქვეშეთში)	231
*** (ვარსკვლავებით დაწინწკლული)	232
პელაზგოსი	233
ასხის მთებთან და ურთასთან	234
*** (ციოთ მოსული)	235
ივლისი სოფელში	236
*** (მიწას)	237
წიგნი – ტაძარი	238
ეგეოსის ადამი	239
*** (დილა)	240
სოფელი, საწუთრო	241
*** (ცისკარივით მზის ხელებით)	242
ადამ კადმონი	243
მეოცე საუკუნე	244

D. J. Gammie



ვაჟა ებრისელი

გოლჩური ფსალმუნები

100 ფორად
ტომი 2

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUME 2

გამომცემლობის

რედაქტორი

– ერეპლე სალლიანი

მხატვარი

– საართად ცინცაძე

მხატვრული რედაქტორი

– ირაპლი უშვერიძე

ტექნიკური რედაქტორი

– ნანა ღუმბაძე

კორექტორი

– მარი ებრისელი

კომპიუტერული

უზრუნველყოფა

– ნანა ღა დავით ჯიმშვილამავაძე

გამომცემელი – ააოლონ გადაჭირი

ფასი 20 ლარი

თბილისი
2019



გამომცემლობა „უნივერსალი”

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოსიანის №4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com